

გეორგიული სასარტოვანი



ქ ა რ თ უ ლ ი ე რ ო ვ ნ უ ლ ი ს ა ბ ზ ო ს ო რ გ ა ნ ო

„LA GEORGIE COMBATTANTE“

PRIX: 50 F.

MENSUEL

N° 10 |

თ ე ბ ე რ ვ ა ლ ი — 1953 — FEVRIER

| N° 10

ქ ა რ თ ვ ი ლ ე რ ს

საქართველოს ისტორიის ერთი ეპოქა დასრულდა.

აღარ არის ნოე ეორდანია: ადამიანი, ვის სიტყვა და საქმეს მთელი სამოცი წლის გასწვრივ უდიდესი ადგილი ეჭირა საქართველოს საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, დიდი ქართველი, მატარებელი თავის ერის სუფერენტების, ემბლემა საქართველოს დამოუკიდებლობის და მისი შეუბოვარი დამცველი...

ჩვენ მის ახლოველ თანამშრომლებს, საქართველოს მთავრობის წევრებს, რომელთაც ბედმა გვარგუნა მასთან ლბინში და ჭირში ყოფნა — ჯერ საქართველოს ბედნიერ დღეებში იქ მუშაობა და შემდეგ, გადმონეწილობის მწარე ბედის აქ გაზიარება — არ შეგვიძლია მისი განშორების ამ უზენაეს წუთში არ მივმართოთ ქართველ ერს, უსიტყვო და უცრემლოთ დღეს მწუხარებით მოკულის.

ქართველმა ხალხმა კარგად იცის, ვინ იყო ნოე ეორდანია; მაგრამ შეიძლება ზოგმა არ იცოდეს, რას აკეთებდა საქართველოსთვის იგი, უცხოეთში გადახვეწილი.

1921 წლის მარტში, როცა შრავალურიცხოვანმა საბჭოთა რუსეთის ჯარებმა, რამოდენიმე კვირის სისხლიან ბრძოლების შემდეგ დასძლიეს მამაკურათ მებრძოლს ჩვენს ახალგაზრდა მხედრობას, საქართველოს უზენაეს ორგანომ, დამფუძნებელმა კრებამ, თავი მოიყარა უკანასკნელათ (1921 წლის 17 მარტს) ქ. ბათუმის თვითმართველობის დარბაზში და დაადგინა, რათა ქართველ ხალხს განეგრძო მუურობის ბრძოლა ოკუპანტების წინააღმდეგ, ყველა მისთვის ხელმისაწვდომ საშუალებებით; ხოლო სუფერენტულ საქართველოს შთაქრობა უცხოეთში გახი-


ზნულიყო — ნოე ეორდანის თანმჯდომარეობით და წევრთა შემოკლებულ რიცხვით — და იქ განათლებულ კაცობრიობის წინაშე დაეცვა საქართველოს უფლებები, ეწირუნა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისთვის.

ამნიართ, თუ ჩვენში გაბატონდა ოკუპანტების ხიშტით გამაგრებული, საქართველოსთვის უცხო ხელისუფლება, ერის ნდობით აღჭურვილი საქართველოს **ეროვნული მთავრობა**, ნოე ეორდანის მეთაურობით, უცხოეთში გამოემგზავრა.

აქ ეროვნულ მთავრობის საქმე იყო უმთავრესად: საქართველოს საკითხის უცხოელებისთვის გაცნობა და საქართველოს უფლებების დაცვა ყოველგან, სადაც საოკუპაციო ხელისუფლება ქართველი ერის სახელით ლაპარაკს მოინდომებდა.

ძნელი საქმე იყო გასაკეთებელი, რადგან ევროპაში ძველ, ისტორიულ საქართველოს უფრო იცნობდნენ, ვინც საქართველოს მე-19 და მე-20 საუკუნისას, რადგან მისი ვინაობა მთელი 120 წლის განმავლობაში გეოგრაფიულათ ისე, როგორც პოლიტიკურათ, გაითქვიფა რუსეთის იმპერიაში.

საერთაშორისო პრესა, საზოგადოებრივი ხასიათის ორგანიზაციები, პოლიტიკურ პარტიათა ყრილობები, მშვიდობიანობის საერთაშორისო კონგრესები, პარლამენტები და მთავრობები, ნაციათა ლიგა — ყველა დაინტერესდა საქართველოს საკითხით მას შემდეგ, რაც უცხოეთში გახიზნული ეროვნული მთავრობა საბუთებით ხელში აამქარავდა რუსეთის ეგრეთ წოდებულ „მუშათა და ცლენთა“ მთავრობის მიერ ჩვენში ჩადენილ ვერავობას. მრავალი დადგენილება,



სხვადასხვა ხასიათის აქტები პარლამენტების და მთავრობების, რეზოლუციები საერთაშორისო კონგრესების და ნაციონალური, მხარს უჭერდენ საქართველოს და პოპულიარულს ხდიდენ მ.ს. საკითხს მთელ მსოფლიოში.

ყველა ამ მუშაობის ცენტრში იდგა, საქართველოს საკითხის ყოველგან მიტანის და დასმის ზეღმძღვანელი და ტონის მიმცემი ნოე ჟორდანიანი. იმის დიდი ავტორიტეტი ამსაგრებდა ეროვნულ მთავრობის მუშაობას, ხელს უწყობდა მის ირგვლივ უცხოეთში გადმოხვეწილ საქართველოს პოლიტიკური პარტიისა წარმომადგენლების შემოკრებას და სამაგალითოთ ხდიდა ყველა ქვეყნების ემიგრაციისთვის საქართველოს ემიგრაციის დისციპლინას და ერთსულოვნობას მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში.

თუ დრო - გამოშვებით პარტიისა წარმომადგენლებს შორის უთანხმოებას ჰქონდა ადგილი და მათი თანამშრომლობა ირღვეოდა — თუმცა არა პრინციპიალურ, საქართველოს უფლებებისთვის ბრძოლის, არამედ ამ ბრძოლის განხორციელების ტაქტიკური საკითხებში — ეროვნული მთავრობა იყო ის ორგანო, რომელიც ურყევად და უცვლელად იდგა თავის პოზიციასზე და ცდილობდა ამ პარტიულ უთანხმოებათა გაჩეხვად დაჩენილიყო.

ხანმა და განუწყვეტელმა შრომამ ემიგრანტულ ცხოვრების მძიმე პირობებში ნოე ჟორდანიანი გამოგვაცალა. ეს აუნაზღაურებელი დანაკლისია, უდიდესი ღირებულება ჩვენი განმათავისუფლებელი მოძრაობისთვის. იცით, რომ ამ ამბის გაგონებაზე ფრთას შეისხამს მტერი და იმის გესლიანი ენა, ისედაც ღრმად დაკოდილ, ქართველ ხალხის გულის - მოსაკლავათ ალაპარაკება...

მეგრამ, ნუ ჩქარობს მტერი! საქართველოს თავისუფლების იდეა უფრო ძლიერია და უფრო ხანგრძლივი, ვინც სიცოცხლე ცალკე ადამიანის, საქართველოს დამოუკიდებლობის დროშას ქართველი იერი ძირს არ დაუშვებს, საქართველოს განმათავისუფლებელ მოძრაობას მუდამ ეყოლება დამცველი.

თაობა თაობას შესცვლის, მეგრამ სამშობლოს სიყვარული ისეთივე ძლიერი დარჩება ქართველ პოლიტიკურ ემიგრაციაში, როგორც არის სიყვარული თავისუფლებისთვის თვით ქართველ ხალხში. ობლად დარჩენილი საქართველოს ეროვნულ მთავრობის წევრნი კარგად იქნნობენ იმ

საქმის სიძნელეს, რომელსაც ისინი განსვენებულ ნოე ჟორდანიანთან ერთად ეწეოდნენ. ისინი არც აწი უღალატებენ იმ გზას, რომლით 35 წელიწადია მასთან ერთად მიდიოდნენ, და უკანასკნელ შესაძლებლობამდის არ დაზოგავენ თავის დარჩენილ ძალ - ღონეს საქართველოს განმათავისუფლებელ საქმისთვის და იმ ნდობის გასამართლებლათ, რომლით ისინი აღჭურვილი იყვნენ. მათ ასულდგმულებს ის იმედი, რომ მათი მომყოლი თაობა და უცხოეთში აღზრდილი ახალგაზრდობაც უფროს თაობის მიერ აღებული გზას არ უღალატებენ.

თუ საქართველოს შესახებ უცხოეთში ახლა იმდენს არ ლაპარაკობენ, რამდენსაც წინად, ეს იმიტომ, რომ დღეს საქართველოს საკითხი განცალკევებულად არ დგას; მისი ბედი არავის აღარ აკვირებს მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირმა საქართველოს მდგომარეობაში ჩააყენა ყველა მის ირგვლივ და მის მიუხედავად მობინძურე ირები. ამიტომ არც განსაკუთრებულად გადაწყდება საქართველოს საკითხი.

საბჭოთა კავშირის ამკარა იმპერიალისტურმა პოლიტიკამ დიდ საგონებელში ჩააყენა მთელი თავისუფალი კაცობრიობა. „ხვალ ვისი რიგია“ —ო, კითხულობენ თავისუფლად დარჩენილი ერები, ომის შიმში შეიპყრო მთელი მსოფლიო, საბჭოთა კავშირის პოლიტიკამ იგი ორი მოპირდაპირე ბანაკით გაყო. ასეთი მდგომარეობა დიდხანს ვერ გასტანს; ასე თუ ისე იგი მოწესრიგდება და ამაზედ არის დამოკიდებული ბედი ჩვენი პატარა ქვეყნის.

ჩვენი ცდა ახლა ის უნდა იყოს, რომ ამ დროს საქართველო — ეს პირველი მსხვერპლი საბჭოთა კავშირის მუხანათობის — დავიწყებული არ დარჩეს, საზოგადოებრივი აზრის მომხადება ამ დანიშნულებით, საქართველოს საკითხის გახსენება ყველასათვის, ვინც საერთაშორისო მდგომარეობის მოწესრიგებისთვის იქნება მოწოდებული; ჩვენი ხალხისთვის თავიდან აცილება იმ მსხვერპლის, მას შეიძლება საერთაშორისო გართულების დროს რომ მოელოდეს, — ყოველივე ეს არის ახლა ჩვენი ზრუნვის საგანი.

ჩვენ ვცდილობთ, რათა თანაგრძობა, როგორც უცხო ქვეყნების, ისე თვით საბჭოთა კავშირში მოქცეულ ერების საქართველოსთან იყოს და ისინიც საქართველოს სამართლიან მოთხოვნელებას ზურგს უმსარებდნენ. ხოლო სხვის დამცობრებას ამ საქმეში ჩვენ მაშინ შევძლებთ,

თუ თვითონ გამოვიჩინოთ სიმტკიცეს და ერთსულოვნობას ჩვენს მისწრაფებაში. ჩვენ ვიცით, რომ ჩვენი ხალხის გულში ღვივის მუდამ ცეცხლო ერთგული თავისუფლების; ჩვენ მასთან ვართ სულიერადად და 1918 წლის 26 მაისის აღთქმას არ ვეღვალება.

დავკარგეთ ჩვენი საქმის უდიდესი მოამაგე და ხელმძღვანელი. მაგრამ, სასოწარკვეთილებას არ

უნდა ექმნეს ადგილი: ჩვენი საქმის სიმაგრე თვით ამ საქმის სამართლიანობაზე არის დამყარებული.

მე. გავაქორი
კ. კანდელაკი
აკ. ჩხენკლი.

20 იანვარი 1953 წ.
ქ. პარიზი.

ბ რ ძ ო ლ ა ბ რ ძ ე ლ დ ე ბ ა

ჩვენ უარესა მამაცსა, ომშიგან პირის - მხმეველსა,
შედრეკილი - წმინებულსა და საიკედლილსა მეტველსა.
რუსთაველი.

ყოველგვარი ბრძოლის გზა და მით უფრო ერთგულ - პოლიტიკურის — სახიფათო ბილიკებით მიიშართება. მისი წარმატებით დახლოების პირველი და უდავო პირობა, სწორი ალლო და მოცემული მომენტის შესატყვისი მოქმედებაა. იყო დრო, როცა დაპყრობილ ქრთა პირობა, კერძოდ ამ ქრთა წარუხვის და ბრძოლის საგანი იყო და საერთაშორისო ასპარეზზე მხოლოდ მოწალეურობას თანაგრძობას თუ პოულობდა. ათეული წლების მანძილზე ჩვენ თავს იცნობდით ეგრძობდით და მიუხედავად საერთაშორისო საკითხის გაძლიერებისა მსოფლიო ისეთივე ევოლუციური განცხრომის ეძლეოდა. მოვლენათა ორომ - ტრიალში ეს იცნობილებდა ერთიანად შეატრიალა. ერთა თავისუფლების პრობლემა დღეს საერთაშორისო დემოკრატიის ბრძოლის ჩარჩოებში მოექცა და მისი გადაჭრა ორგანიზაციულ უკავშირდება ადამიანის და საზოგადოების თავისუფლების საერთო პრინციპის განადრებას. ეს გადაჯაჭვება, იმთავითვე ობიექტურად ივარდაუვალი, ამიერიდან ფსიქოლოგიურად დადასტურებული და მიღებულია. მაგრამ იყო ეს ასე ახლო წარსულში?


ქართულ ერთგულ საბჭოს და მის აღმასრულებელ კომიტეტს მეტად რთულ პირობებში მოუხდა ასპარეზზე გამოჩენა.

მოკავშირეთა ჭარბი ლოიალობით და, მეტი რომ არ ვსთქვათ, გულუბრყვილობით საბჭოთა ტირანისმ იგულებდად იხარებოდა და პოლიტიკურ - ტერიტორიული სიძლიერის მოულოდნელ დონეს მიიღწია. ერთი ტირანის ნანგრეველებზე მთორე საზინებლების გაძლიერებამ დასავლეთის ცივილიზაციის საფრთხე კარზე მიყენა და ივთუთავებული „ცივი ომი“ თავს მოახვისა.

მოვლენათა უკუღმართმა განლაგებამ საქართველოს პრობლემა რკინის ფარდის უკან მიჩქმალა და დააბნელა. საჭირო იყო ბურჟუასის გაფანტვა და ამ პრობლემის აქტუალობაში ჩართვა. საჭირო იყო დიდი დიპლომატიური განჭვრეტვა და პიროვნული მსხვერპლი ამ შინის მოსაღწევად. ძნელი და საფრთხილი საფეუ ბილიკები, ზოგჯერ არა - პოპულიარული მიხვევ - მოხვევა და დაუმსახურებელი საყვედურები შინ და ვარედ — აი რა პერსპექტივებს ეხეთქებიან ჩვენი სინდისი და ქრის ინტერესების სწორი შექმნება. მაგრამ რომელი ბრძოლა დაწყებულია გაშლილ და გასხვიოსნებულ პირობებში?

ერთგულ საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი მთელი თავისი პოტენციით გადაეშვა ამ ორომტრიალში. მებრძოლი არ არის ვინც სიძნელებებს დასაწყისშივე შეუშინდება. ადამიანის და ქრის თავისუფლება თავის - თავად არ იჭედება. მისი უქმნო სამსახური, მოვალეობის სწორი გაგებასთან ერთად, მოითხოვს შეურყვეველ რწმენას ბრძოლის ობიექტის სამართლიანობაში; გამძლეობას და სათანადო პოლიტიკურ სიმწიფეს მომენტის შეფასებაში.

ჩრდილო - ამერიკის, და საერთოდ მსოფლიო დემოკრატიის ბრძოლა დღეს რევოლუციონური ხასიათისაა. ის დღეს იმის ძიებაშია თუ როგორ აცილოს თავიდან გერმანიის შეკდომები და დანაშაული რუსეთის საკითხისადმი მიდგომაში. რთულია და სახიფათო ეს საკითხი. მის სწორი გადაჭრაზე დასმოკიდებული კაცობრიობის და მისი ცივილიზაციის ბედი. ფაქტის პოლიტიკურად დარაგრული რუსის ხალხი; ფაქტის ძველი და ახალი დაპყრობილი ქრები. პოლიტიკურად მათი ინტერესები ერთმანეთს ემთხვევა-



ან, ეროვნულად კი მათ შორის საერთო ცნის გა-
მონახვა რთულია და ძნელი.

ადამიანის და საზოგადოების განთავისუფლე-
ბის პირველი პირობა ტირანიის ლიკვიდაციაა.
ეს მომენტია საერთო და გარდაუვალია საბჭოთა
საერთო ციხეში მომწყვდეულ ყველა სულიერი-
სათვის.

არის თუ არა მიზანშეწონილი ამ მომენტის
გამოყენება?

რუსეთს ჩვენთვის დამოუკიდებლობა მზა -
მზარეულად არი მოაქრთმევი, მაგრამ ცარიზმის
დამსახურებამ შექმნა მისთვის ხელსაყრელი პირო-
ბები. ქართველმა ერმა ის მოიხმარა, გამოიყუ-
ნა მათ, როცა მას საამისო გამოცდილება არ
გააჩნდა. ჰქონდა კი რწმენა თავისი მარადიუ-
ლობის, დღეს ეს რწმენა განმტკიცებულია სამი
წლის თავისუფალი არსებობის ფაქტით და უა-
ღრესად დემოკრატიული კონსტიტუციით. თავ-
ვისი საზღაპრო მარტივოლოგიით ქართველმა
ხალხმა იმდენი ნდობა კი დაიძახა, რომ იმე-
დი დავამყაროთ მის სიმწიფესა და გონიერება-
ზე ტირანიის დანგრევის გამოყენებაში.

ამ რწმენით გადავეშვიტე ჩვენი ამ მოძრაობაში
და დღეს არა მარტო საქართველოს, არამედ სა-
ბჭოთა ტირანიის ბრკალეებში მომწყვდეულ
ყველა ერების საკითხი ამოტივტივდა საქრთა-
შორისო პოლიტიკის ასპარეზზე. ასეთია ეროვ-
ნული საბჭოს მუშაობის შედეგები პროპაგანდის
მიმართულებით.

ტირანიის მსხვერპლთა საერთო ფრონტის გა-
მართვა მხოლოდ ლოიალური და სამართლიან სა-
ფუძველზეა შესაძლებელი. ეს კიდევ მეორე
ამოცანაა აღმასრულებელი კომიტეტის მოქმე-
დების პირველ პერიოდში, მრავალი უსამოვნო
და რთული შეხეთქების შემდეგ — ეს ამოცანა
თანდათან კონკრეტულად ისახება და გადაწყ-
ვეტას უახლოვდება. ამერიკული კომიტეტი,
რომლის სადღესო ობიექტი, ტირანიის წინააღ-
მდეგ ერთი მებრძოლი ფრონტის ჩამოყალიბებაა
ნელა, მაგრამ მტკიცედ ითვისებს ერთა ურთი-
ერთ მიმართების ნორმალიზაციის ასუცილებლო-
ბას — ამის პირველი დემონსტრაციაა მისი სა-
ხელწოდების შეცვლა. ამერიკიდან მისი სახელ-
წოდება: „ბოლშევიზმის წინააღმდეგ ბრძოლის
ამერიკული კომიტეტი“. სახელწოდება ნეიტრალ-
ური, რომელიც უკეთ უპასუხებს, როგორც
დაპყრობილ ერების ისე თვით რუსის ერის სა-
დღესო მოთხოვნები.

არავითარი გონიერება არ მოითხოვს ან ერო-
თი ან მეორე ფაქტორის ანგარიშიდან გამორი-
ცხვას. უნდა გვწამდეს, რომ თვით რუსის ხალხი
შორს არის „დერჟომორდულ“ განწყობილები-
დან, წარსულში რომ მის არამკითხველ ხელმძღვა-
ნელთა პოლიტიკას ასაზრდოებდა. მას ისევე
სწყურია თავისუფალი ცხოვრება და მისთვის
მუშაობა, როგორც ყოველ ადამიანთა კოლექ-
ტივს. იგი ბარბაროსულ რეჟიმის წინააღმდეგ
ბუნებრივი მოკავშირეა.

მაშასადამე, ერთი მხრით ერთა კვალიფიციუ-
რი წარმომადგენლობის და მეორე მხრით, რუს
დემოკრატიულ დაჯგუფებათა საქმიანი და ლო-
იალური თანამშრომლობა — აი ამერიკული კო-
მიტეტის ამოცანა; აი ჩვენი დღევანდელი მოქ-
მედების იმპერატივი.

ასე ესოდნა თავისი მოვალეობა ეროვნულ სა-
ბჭოს, როდესაც მან მიზნად დაისახა „საქმიანი
დამოკიდებულება თუ კავშირი დაიჭირის ყვე-
ლა იმ ორგანიზაციებთან და ერების წარმომად-
გენლებთან, რომლებიც იბრძვიან საბჭოთა რუ-
სეთის მიერ დამყარებულ რეჟიმის წინააღმდეგ“.
ეს რეჟიმი ხომ რუსეთში პოლიტიკური ჩაგვრის
საზიზღარი განსახიერებაა, დაპყრობილ ერებში
კი პოლიტიკურს ეროვნული ჩაგვრაც ერთვის.

ეს იყო ჩვენი ბრძოლის პირველი პერიოდი.
ამით ვახსნა ვზა საქართველოს და საერთოდ
ჩაგრულ ერთა საკითხის საერთაშორისო დემო-
კრატიის წინაშე ფართოდ გამოსაჩვენებელი.

ამ ნადავზე ირახმება ყველა ჩაგრული ერთი.
დღევანდელ ბრძოლის პირობებში ეს რთული
და ფაქიზი ამოცანაა. თავისუფალი მსოფლიოს
ბრძოლის სტრატეგიის და დაპყრობილ ერთა ინ-
ტერესების შეთვისება ფრთხილ მიდგომას მოი-
თხოვს.

ჩვენ შემთხვევით არ დავიწყებთ ეს წერილი
მოსანის მკვეთრი აფორიზმით. რა მებრძოლია
ის, ვინც ბრძოლის უმაღლეს დამარცხებაზე ფიქ-
რობს და პასუხისმგებლობას გაუტრიას? ვისაც
თავისი ქვეყნისთვის ნაცოფიერი მუშაობა
სურს ამ დროშას უნდა შეუერთდეს, ამ ას-
პარეზის გაფართოებას უნდა ემსახუროს. ამათა
და მვენე სხვადასხვა ქვეყნის დემოკრატიათა
ჩაღაც წვრილმან და წარმავალ განსხვავებებზე
ოპოზიციის აშენება. არსებობისათვის მებრძო-
ლი დემოკრატია ერთია, განუყოფელი. ის ან
ერთად გაიმარჯვებს ან ერთად დაიღუბება.

ქართულმა პოლიტიკურმა ემიგრაციამ ან



ფრონტში უნდა დაიჭიროს ღირსეული ადგილი და შექმნას მისთვის მისაღები პირობები. ამერიკულ კომიტეტთან და „საკოორდინაციო ცენტრში“ ჩვენი ორი წლის მუშაობა იმის მაჩვენებელია, რომ ამ პირობების მოპოვებაც ბრძოლისა და დიდ სახელმწიფოებრივ განჭვრეტას მოითხოვს. საკოორდინაციო ცენტრის მაგალითზე დაგვანახვა, რომ ეს ადგილი საქმე არ არის. რუსის ემიგრაციის დიდი ნაწილი ვერ ჩაწვდა თავისუფლების პრინციპის სიღრმეში. ის ვერ ურიგდება რუსეთის იმპერიის დაშლის პერსპექტივებს. ის იმ კაცს მოგვაგონებს, რომელსაც თავს სურიდენ და მანც მუწუკზე ზრუნავდა. ჩერნიშევსკი იტყოდა — ეს რუსის ხალხის ბრალი არაა, არამედ მისი კუბედურება. მაგრამ ეს არც დაჩაგრული ერთა ბრალია და სწორად გაგებული მათი ინტერესი უკარანახებს მათ ყოველი ღონე იღონონ, რომ ეს ხალხი თვითონ ამოქმედეს და იბრძოლოს ბოლშევიკური ნების გადასათრევად. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რუს ემიგრაციის ერთი ნაწილი ლიგის სახით, საკოორდინაციო ცენტრში ჩვენს პოზიციას ეროვნულად არ დასცილებია. ჩვენი ვალია ამ ტენდენციის გაძლიერებას შევუწყოთ ხელი.

დღეს ჩვენი მუშაობის ერთი ეტაპი დამთავრებულია.

ბუღალდე უნდა ჩაითვალოს. ამ ხნის განმავლობაში ქართული სექცია განიცდიდა გააფთხებულ და უსამართლო თავდასხმებს, როგორც შიგნით ჩვენს ემიგრაციაში, ისე გარეთ, ერთი მხრით ერებისაგან და მეორე მხრით — რუს მემარჯვენე წრეებისაგან. კმაყოფილებით უნდა აღინიშნოს, რომ ეს გადაჯვარედინებული თავდასხმები ჩვენს შემართებულ როლს აამკარავებდენ. ხშირად როცა არავის არ მოსწონს მოქმედება, სჩანს ყველასათვის რალაცას აკეთებ. ქართულმა სექციამ გამოიჩინა ატავისტური კეთილშობილესა შეზობელთა ურთი-ერთ მორიგების საქმეში.

ამ პოზიციამ გამოიწვია ჩაგრული ქრთა სასიცოცხლო ძალების კრისტალიზაცია, რომელმაც თავისი თავად, ხელი უნდა შეუწყოს ამერიკულ კომიტეტთან თანამშრომლობის გაძლიერებას და კოორდინაციის მაგარ და რეალური ნივთაგან დაყენებას.

ბრძოლა გრძელდება: ჩვენი გზა ია-ვარდ ფენილი არაა, მაგრამ გამარჯვების მთავარი პირობა მოთმინება და ტაქტიკური ელასტიურობაა; ჩვენი ადგილი ამ ბრძოლაში იდეალური სიტუაციით არის ნაჩვენები. ღირსეულად უნდა დავიცვათ და დავამაგროთ იგი.

ს ტ ა ლ ი ნ ი — კ ო ბ ა ჯ უ ლ ა შ ვ ი ლ ი

იმვეათის ისტორიაში მეორე პიროვნება, რომლის გარშემო ხელოვნურად შექმნილიყოს იმდენი ლეგენდები, როგორც ამას სტალინის ირგვლივ ჰქონდა ადგილი. საბჭოთა კავშირის, მისი სატელიტების, თუ სხვა ქვეყნებთა კომუნისტური პარტიების მიერ სტალინი გამოცხადებულია ყოველის მკოდნეთ, ყოველის შემძლეთ, ყოველ დროთა „უდიდეს გენიოსათ“. მას ეძახდენ: „ჩვენი მამა“, „ხალხთა მამა“, „კაცობრიობის წინამძღოლი“, „ჩვენი ცხოვრების მზე“ და სხვა. ყოველივე, რითაც საბჭოთა კავშირი ცდილობს თავი იქოს — ეკონომიური პროგრესი, მეორე დიდ ომში გამარჯვება, მწვერლობაში, მეცნიერებაში, ფილოსოფიაში, ფილოლოგიაში, თუ ხელოვნების ყველა სფეროებში მიღწევები — სტალინის ინსპირაციას აკუთნებდენ. საბჭოთა რუსეთში ყოველგან სექსუალური ხატების და მეფის რუსეთის დროს არსებულ სურათების, თუ ძეგლების ადგილას სტალინის სახეა წამოჭრილი. რუსეთის ბევრი ქალაქები მისი სახელით

არის მონათლული. საერთოდ სტალინის ბიოგრაფია მრავალჯერ არის გადაკეთებული და ხოტბაშესხმულად დაწერილი.

ხშირად ამბობენ, რომ მკედარზე ან კარჯი უნდა ითქვას, ან არაფერიო. ეს იქნებოდა უდიდესი ფარისევლობა. პოლიტიკურ მოღვაწეზე უნდა ითქვას ყოველივე სიმართლე და იქნას ის შესაფერისად დაფასებული.

კობა ჯუღაშვილის - სტალინის ბიოგრაფიის ქართულელები კარგად ვიცნობთ. ცნობილია მისი საქმიანობა თვითმისის პარტიულ ორგანიზაციაში, სადაც მან ჯერ კიდევ ახალგაზრდას დაიწყო მუშაობა და საიდანაც სულ მალე პირადი ხასიათის ინტრიგებისათვის ერთხად იყო ვარიცხული. ვიცნობთ კობას „მოღვაწეობას“ ბათომში, 1902 წელს, როცა მან იქ შეადგინა მისი მობრუნების მცირედი ჯგუფი და ბრძოლა დაიწყო მუშათა წრეებში გავლენიან და ნდობით აღჭურვილ პიროვნების წინააღმდეგ. ორგანიზაციის მიერ ნებადართულად მან ქუჩებში სადემონ-



სტრატეგიით გამოიყენა მუშების ქართი ნაწილი, რასაც შედეგად მოყვა მთავის ჯარების მიერ იარაღის ხმარება და მთუშათა მსხვერპლი და ჩინეთისაც კობა იქნა დაგმობილი. ვახსნოვს 1905 წელში მისი გამოსვლები საჯარო კრებებზე, სადაც ის სხვებთან შორის არსებითარ თვალსაჩინო ყურადღებას აქცევდა. კარგათ ცნობილია აგრეთვე, რომ 1905 წლის რევოლუციის შემდეგ, რეაქციის ხანებში ის იყო სხვადასხვა იქსპროპრიაციების (თფილისში, ქათურაში, კოდჯორში და სხვა) ორგანიზატორი. თუ პირადი რისკის გამო ამ საქმეებში მონაწილეობას არ იღებდა, მას ძალიან მოხერხებულად სხვებს აკეთებინებდა, გატაცებულ ფულებს კი ბეჯითად ლენინს აბარებდა. არ უნდა დავივიწყოთ ბაქოც, სადაც ის პირად წინადაგზე ებრძოდა სხვებთან შორის მის ფრაქციულ ამხანაგს შაუმიანს. მას არც ბაქოში დასცალდა და იქიდანაც იძულებული შეიქნა რუსეთში გადაბარებულიყო. ჩვენ ქართველ დეპუტატებს ვახსენებდეთ, ალბათ კობა ჯულაშვილი სახელმწიფო დუმის ხანიდან, როცა ის ბოლშევიკების ფრაქციის მრჩეველად საქმიანობდა და ჩვენი დეპუტატებისაგან ხშირად მეტად მწარე გაკვეთილებს იღებდა. რუსეთის დიდ რევოლუციის და ოქტომბრის გადატრიალების დროს ჯულაშვილი ბოლშევიკურ პარტიაში ენერგიული მუშაობას ეწეოდა. იმ დროს ის დაახლოებით 38 წლის კაცია. მთელ ამ ზემოდ აღნიშნულ ხანაში კობა ჯულაშვილის არც ქართველ და არც რუს ახლო პარტიულ ამხანაგებს არასოდეს აზრათ არ მოსვლიათ და არ უთქვამთ, რომ კობა იყო ორატორი, დიდი მწერალი, ან რაიმე დიდი ცოდნის, განათლების და ნიჭის მქონე ადამიანი. ნიჭი ხომ მუნებრივი, თანდაყოლილი ჯილდოა და თითქმის ორმოცო წლის ადამიანში ის უკვე გამოვლინებული და გამოავსება რავებულისა.

მართალია ქართი: ჯულაშვილი იყო მეტად ენერგიული და დაუღალავი მუშაკი, წყნარი, აუღელვებელი, მეტად პატივმოყვარე, უთუოდ დიდი ნებისყოფის და დიდი ამბიციების მქონე, გაბედული ადამიანი და კარგი ორგანიზატორი. მის მიერ დასახულ მიზნის განსახორციელებლად მისთვის ყოველივე საშუალება მისაღები იყო. ამ მხრივ მას არ ჰქონდა არსებითარი პოლიტიკური მორალი.

აი ასეთი ადამიანი ლენინის დახმარებით ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ხდება და მოხერხებულად

სარგებლობს ამ დიდი პოსტით. ყოველგან საბჭოთა რუსეთში ქალაქთა და სოფლების ორგანიზაციებში მდივნებათ თავის ხალხს ნიშნავს, ამით ხელში იგდებს პარტიის მთელ აპარატს და იწყებს ნელ-ნელა თავისი ამბიციების განხორციელებას.

სტალინი ვერ ითმენდა მის ირგვლივ მყოფ მასზე ნიჭიერ ხალხს, მასზე უფრო მცოდნეს და განათლებულს, მასზე უფრო პოპულარულს შინ და გარედ. ის ვერ ითმენდა კრიტიკას, წინააღმდეგობას. მას კი ფაჩოთ მას არ იცნობდა, მისი ახლო ამხანაგები კი, რომელნიც მას კარგად იცნობდნენ, მის ავტორიტეტს არ ცნობდნენ, მას ებრძოდნენ. ამ ბრძოლაში სტალინიმ დაიხმარა ჩეკა, რომელსაც ცენტრალური კომიტეტის დავალებით ის კონტროლს უწევდა და იმორჩილებდა, და დაამარცხა თანდათანობით ჯერ ტროცკი, შემდეგ კამენევი, ზინოვიევი, ბუხარინი, რიკოვი და სხვები. დაბოლოს მან გაანადგურა ბოლშევიკების მთელი ძველი გვარაღა. მუშათა წრეებში, შინ და გარეთ, ამ ცნობილ ბოლშევიკების გაქრობა რომ გაენართლებინა, მის მსხვერპლთა ათასნაირი კრიმინალური რამეები გამოუგონა და დასწამა. თვით მისი მსხვერპლნი საშინელი ფიზიკური წვალებით და ტანჯვით ყოვლად ლაჩარა ადამიანებათ აქცია, და რაც სტალინს უნდოდა ყველაფერი მათ ათქმევინა, მათივე თავი ყოველივე მორალის დახლს და აყენებინა და ამ სახით, ყოველივე ღირსებას აყრილნი, ისინი იმ ქვეყნათ გაისტუმრა.

ცნობილი მწერლის — ვიკტორ სერჟის გადმოცემით, კამენევის, დერჟინსკის და თვით ვიკტორ სერჟის თანდასწრებით სტალინი თავის თავს ასე ახასიათებდა: ამოღებს ნიშანში მსხვერპლისა, მისი გაქრობის ვეგმის დეტალურად მომზადება, შეუტრიალებელი შურისძიების დამატყოფილება და შემდეგ კი ტკბილად დაძინება, ამასვე უფრო ტკბილი და სასიამოვნო ქვეყანაზე არაფერიაო. აი სტალინის უღმობელო ბუნების ნამდვილი სურათი. ამორალური ადამიანის უღმობელოობით და მცარე ნებისყოფით მოქმედებდა ის მის დიქტატორობის და ტირანის ხანაში.

მთელი პარტიული აპარატი და პრესა დიქტატორს და ტირანსა ქებათა-ქებას ასხამდა, ის ზეცას აყავდა, მას აღმერიებდა, მისი შიმით მთელი სასჭოთა რუსეთი ძანდალებდა.

პარტიული აპარატის მთელი ძალა-უფლების ხელში ჩაედებით და ამ აპარატის საშუა-



ლებით შექმნილ სახელით და ავტორიტეტით შეუდგა სტალინი მის „დიდ აღმშენებლობას“.

როცა ტროცკი საბჭოთა რუსეთში საერთოდ ინდუსტრიალიზაციის გატარებას იცავდა და საამისოდ პროპაგანდას აწარმოებდა, სტალინი მას ამისათვის ებრძოდა და ამტკიცებდა, რომ ტროცკის უნდოდა ინდუსტრიალიზაციისათვის საჭირო ფული და რესურსები გლებთა უჭსლოატაციით მოეზოვებია. ტროცკის თავიდან მოშორების შემდეგ კი სტალინმა ტროცკის აზრების ქადაგება და ცხოვრებაში გატარება თვითონ დაიწყო. ინდუსტრიალიზაცია რომ სამჭაროდ მოეხთინა, მან სხვა სახსარი და საშუალება ვერ ნახა გარდა გლეხის შრომის მითვისებისა. ამ მიზნით სტალინმა მთელი გლეხობა თავის კონტროლის ქვეშ დააყენა და შეუდგა სოფლად ძალდატანებით კოლექტივიზაციის ჩატარებას. მრავალი ათეული მილიონობით გლეხობა მის კერას მოაშორა და რუსეთში შორეულ ადგილების კონცენტრაციულ ბანაკებში გადაარეკა. ენც თავის ადგილას დარჩა, ის მიწას მიაკრა, მას ერთი ადგილიდან მეორეზე გადასვლის საშუალება მოუსპო. მისი ცხოვრება სულ დაბალ დონეზე დაიყვანა, მისი შრომის ნაყოფი მას წაართვა და მით სახელმწიფო ხაზინა გაამდიდრა. ეს სიმდიდრე სამხედრო საჭიროებისათვის წარმოებათა ინდუსტრიალიზაციას მოახმარა, ქარხნების, ელექტროსადგურების და სხვა... ასაშენებლად საკონცენტრაციო ბანაკებიდან მოყვანილ ხალხის უფასო შრომით ისარგებლა.

ისტორია, ალბათ, აღნიშნავს, რომ სტალინის დიქტატორობის ხანაში აშენდა ბევრი ქარხნები, გაყვანილ იქნა შარავ-გზები, ერთი-მეორესთან არხებით შეერთებულ იქნა ქრთა-მეორეზე დიდათ დაშორებული ზღვები და მდინარენი, მაგრამ ამავე დროს ისტორია არასოდეს არ დაივიწყებს, რომ სტალინის ამ „აღმშენებლობას“ ავთოკრატიის, შიმშილის და ტანჯვა-წყალების გამო შეეწირა ათეული მილიონობით რუსეთის, თუ ბოლშევიკური რუსეთის მიერ დაზარალებული სხვა ერთი საუკეთესო შვილები.

ამ უკანასკნელ დიდი ომის დროს სტალინმა,

ვითომც, იენიოსი სარდლის სახელი მოიხვეჭა. როცა სამხედრო შტაბის მიერ გამოძღვნილი და სტალინის მიერ მოწონებული საომარი გეგმა განხორციელდებოდა, ამას სტალინი თავის დამსახურებათ სთვლიდა და დიდი ზემოთ საჯაროდ აცხადებდა. წინააღმდეგ, როცა კი, თუ ვინღ მის მიერ მიღებული და მოწონებული გეგმა, მარცხით გათავდებოდა, მაშინ ამისათვის დამნაშავეთ მხედრები გამოყავდა და მათ სასტიკად სჯიდა. ასეთი რამეებში ის მარტლაც დიდად დახელოვებული იყო.

ომის დროს ალიების წინდაუხედველობით, თუ გულობრყვილობით სტალინმა მოხერხებულად ისარგებლა. ბალკანეთის და ცენტრალური ევროპის ქვეყნებში ის წითელი ჯარებით შემოვიდა და იქ მოიკალათა. ყოველგან იქ ბოლშევიკური რუსეთი დამყარა და ფაქტურად ყველას ეს ქვეყნები დაიბყრო. სტალინმა, აღმოსავლეთის ტიპის ამ დესპოტმა, შექმნა რუსეთის დიდი იმპერია, რომელიც რუსეთის მეფეებს და იმპერატორებს სიზმრადაც არ მოუვიდოდა.

პირველი მსხვერპლი საბჭოთა იმპერიალიზმისა საქართველო გახდა. ცნობილია, რომ საქართველო წითელი ჯარებით სტალინის ინიციატივით და წაქეზებით იქნა დაპყრობილი. ქართველი ერის მონობას ვერ შეუტრიადა და უცხო ბატონობას 1924 წლის აჯანყებით უბასუხა. დღეს ცნობილია აგრეთვე, რომ მოსკოვიდან სტალინი პირდაპირი მავთულით თფილისს ბრძანებას აძლევდა და აჯანყებულების მასიურად დახვრეტას მოითხოვდა. და მართლაც, ამ აჯანყებას ქართველები ათასობით შეეწირნენ და ისინი სისსლში იქნენ ჩახრჩობილი.

საქართველოს ისტორია ჯგულაშვილს მოიხსენებს, როგორც ქართველი ერის მოლაპატეს და მისი დამოუკიდებლობის და თავისუფლების მონტაცებელს უცხო ძალის საშუალებით.

ქართველთა მრავალი თაობები კი კიდევ დიდი ხნის განმავლობაში წყევლა-კრულვას შეუთვლიან მას ყველა იმ ბოროტებისათვის, რომელიც მან საქართველოში დასთესა.

კ. გვარჯალაძე.

დიდი მტარვლი აღარ არის

4 მარტს ნაშუადღევს დავურეკე ერთ ჩემს მეგობარს და ვკითხებოდი მოისმინე თუ არა რადიო — მეთქი, დიახ, მოვისმინე — მიბასუხებს; როგორ ფიქრობ — განვაგრძე მე — იმედი მო-

მეცა ჩავაღწევ სამშობლოში! მართალი ხარ, მეც ასე ვფიქრობ — მიბასუხებს ჩემზე ჯიელი მეგობარი. მკითხველი მიმხედარია რაზე და ვისზე ვბა-



ასობდით: სტალინის დაშლის დასაცემად, და იმ შთაბეჭდილებად, რომელიც ეს ამბავი მოახდენდა არა მარტო აქ — უცხოეთში, არამედ იქაც — წამებულ საქართველოში...

დას, თანამედრესპუბლიკანურ „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნის“, დამთავრდა ერთი ეპოქა, სტალინის ეპოქა, და იწყება მეორე — მალენკოვის ეპოქა.

თითქო წინასწარ ჩაწყობილია, ჩვენებულად რომ ესთქვათ, სანამ სტალინის ლოკინში ჩაწყობოდა: მალენკოვი პრემიერი და კომპარტიის პირველი მდივანი; მარშალი ბერია — პირველი ვიცე-პრემიერი და შინაგან საქმეთა ანუ პოლიციის მინისტრი; მოლოტოვი, მეორე ვიცე და გარეშე საქმეთა მინისტრი; მარშალი ბულგანინი, მესამე ვიცე და სამხედრო მინისტრი; ლახარე კავანოვიჩი, მეოთხე ვიცე და „საგარო ხელი“ გამტარებელი, მიკოიანი, მეხუთე ვიცე და ფაქრობის მინისტრი.

საბჭოთა კავშირის პრეზიდენტად ნაცვლად შევნიშნის მარშალი ვოროშილოვი იქცა, სტალინის მოწაფე კიდევ ცარიცინის ავანტიურადან.

ამოთა წინასწარმეტყველოდა, უკეთ — მკითხაობა ახლო თუ შორეულ შედეგებზე. დავჯერედეთ აღენიშნათ რა ხდებდა: მალენკოვი, ბერია და მოლოტოვი საბატო დაჩაჯად იღვენ გახდაცვლილ დიქტატორის კლბის ირგვლივ სინდიკატების დიდ დარბაზში.

საფრანგეთის დროზა ნახევრად დახრილი იყო, მოლოტოვის ყველა სატანტოდან სამხმრის დეპეშები მიდიოდა მოსკოვს, შიჩქაროდენ იქვე სატელიტების დეპუტაციები, პირველ რიგზე „მეხუთე კოლონიდან“, დაქრძლევან დასასწრებლად.

ერთი მათგანის მეთაური ჩეხოსლ. პრეზიდენ. გოტვალდ (Gottwald — ღეთის ტყე), ქართველების დიდი მეგობარი ბენეშის და ჟან მასარიკის დამლუპველი ზედ დააცივდა და საიქიოს გაემზავრა.

ბოლოს კრემლი აცხადებს, რომ დაუყონებლივ შეუდგებიან პანთეონის აშენებას, სადაც სასულდამოდ უნდა განიხვენონ ლენინმა, სტალინმა და მათ მომდევნო დიდმა კაცებმა.

და აქ მიზანშეწონილი იქნება ვიფიქროთ, თბილისშიც მოისურვებენ ალბათ პანთეონის აშენებას „სათაყვანებელ“ სოსო-კობახტალინის ნაშთის, თუ დაანებეს, შესანახად.

მოგაგონებთ მკითხველს, სიტყვა „დიქტატორი“ ძველი რომის ეპოქას ეკუთვნის. რომის სენატი, დიდი ვართულების ქაშს, დიქტატორს ირჩევდა და ისიც დროებით: ნახევარი თუ ორიოდე თვით.

შეადარეთ ლენინის ხუთი წლის ან კიდევ სტალინის ოცდაათი წლის დიქტატურას. ეგ ხომ რუსეთის, უკეთ — ველიკოროსის სწორუბოვარი მიღწევას წარმოადგენს!

ანჩინ.

გეგანის პოლიტიკურ მოღვაწეთა და ოგანისაციების წაკომოგბენელთა სიტყვები წაკომთქმული ნოე შორდანიას საპატივცემო სამოქალაქო პანაშვილზე მიუხეხნო

Sehr geehrte Herren!

Ihre Einladung zu einer Trauerfeier am Samstag, den 31. 1. 1953, nachmittags 15 Uhr, aus Anlass des Ablebens des Präsidenten der Unabhängigen Demokratischen Republik Georgien, Herrn Noé Jordania, habe ich erhalten. Ich danke hierfür, bedauere aber mitteilen zu müssen, dass ich infolge anderweitiger dienstlicher Verpflichtungen zum gleichen Zeitpunkt nicht in der Lage bin, Ihrer Trauerfeier beizuwohnen.

nen. Darf ich bitten, für meine zwangsbedingte Absage Verständnis aufzubringen. Mit vorzüglicher Hochachtung:

WIMMER
Oberbürgermeister (München)

Sehr geehrte Herren!

Zu meinem Bedauern bin ich am 31. Januar wegen meiner Amtsgeschäfte in



Eichstätt verhindert, an der Trauerfeier teilzunehmen.

Mit vorzüglicher Hochachtung!
 Dr. Wilhelm HOEGNER
*Bayer. Staatsminister des Innern
 u. stellv. Ministerpräsident*

Sehr geehrte Herren!

Zum Heimgange des Herrn Präsidenten der Unabhängigen Demokratischen Republik Georgien Noé Jordania spreche ich dem Trauerausschuss meine aufrichtige Anteilnahme aus. Ich bedauere den Verlust, den die Georgischen politischen Organisationen durch das Ableben dieses


Priller beauftragt, mich auf der Feier zu vertreten.

Mit vorzüglicher Hochachtung!
 Dr. Theodor OBERLAENDER
*Staatssekretär
 für die Angelegenheiten
 der Heimatsvertriebenen in Bayern*

Zu dem schweren Verlust, den das Georgische Volk durch das Ableben von Noé Jordania, Präsidenten der Unabhängigen Demokratischen Republik Georgien, erlitten hat, spreche ich der Georgischen Kolonie und den Georgischen Politischen Organisationen in der Bundesrepublik



გერმანიის ოფიციალური ორგანიზაციების დელეგაციათა ერთი ჯგუფი ბ.ბ. დ. სხირტლაძესა და ახმეტელთან ერთად პრეზიდენტ ნოე უორდანიას სამოქალაქო პანაშვიდზე მიუწეხნენ.



hochverdienten kämpferischen Mannes erlitten haben.

Leider hindert mich eine bereits festgelegte mehrtägige Dienstreise daran, dem verehrungswürdigen Verstorbenen bei der am Samstag stattfindenden Trauerfeier die letzte Ehre zu erweisen. Ich habe meinen persönlichen Referenten Dr. Friedrich

mein aufrichtiges Beileid aus. Noé Jordania wird als Vorbild eines aufrechten Patrioten und Kämpfers für die Freiheit dem Georgischen Volk und darüber hinaus der ganzen Freien Welt unvergessen bleiben.

Ich habe es als grosse Ehre empfunden, zu der Trauerfeier eingeladen worden zu sein. Zu meinem grossen Bedauern ist



es mir wegen der mit dem Geburtstag des Bundespräsidenten am 31. Januar 1953 verbundenen dienstlichen Verpflichtungen nicht möglich, der Einladung Folge zu leisten.

Auswärtiges Amt

Protokoll

Gesandter von HERWARTH

Sehr verehrter Herr Dr. Maghlakelidse!

Von dem am 12. Januar in Paris erfolgten Ableben des ersten Staatspräsidenten der Unabhängigen Demokratischen Republik Georgien, Herrn Noé Jordania, habe ich mit Bedauern Kenntnis genommen.

Ich spreche Ihnen und den in der Bundesrepublik lebenden Georgiern zu diesem schweren Verlust mein aufrichtiges Beileid aus und verbinde damit meine besten Wünsche für den Kampf Georgiens um seine Freiheit.

Mit vorzüglicher Hochachtung:

Ihr sehr ergebener

Dr. H. EHLERF

Der Präsident

des Deutschen Bundestages

Sehr geehrte Herren!

Wir bestätigen dankend den Erhalt Ihrer Einladung zur Trauerfeier am 31. Jan. im Sitzungssaal des Münchner Rathauses.

Da die Landtagsberatungen spätestens am Freitag mittag schliessen, ist am Wochenende leider kein Mitglied der Fraktionsvorstandschaft in München anwesend.

Wir bitten daher auf diesem Wege unsere Anteilnahme zu dem Verlust, der Sie mit dem Tode des Präsidenten der Unabhängigen demokratischen Republik Georgien, Noé Jordania, betroffen hat, entgegennehmen zu wollen.

Mit vorzüglicher Hochachtung!

W. ROEHL

*Fraktionssekretär der C. S. U.
im Bayerischen Landtag*

Sehr geehrte Herren!

Namens der Landtagsfraktion der Freien Demokratischen Partei danke ich Ihnen

für die freundliche Einladung zur Trauerfeier anlässlich des Ablebens des Herrn Präsidenten der Unabhängigen Demokratischen Republik Georgien Noé Jordania.

Wie ich dem Ueberbringer der Einladung bereits mitteilen musste, ist es mir selbst zu meinem Bedauern nicht möglich, Ihrer Einladung Folge zu leisten, da ich einer wichtigen Besprechung ausserhalb Münchens anwohnen muss. Die meisten Herren der Fraktion wohnen nicht in München und brauchen das Wochenende für die Arbeit in ihren Wahlkreisen. Sollte wider Erwarten einer der Herren erreichbar sein, so wird er die Fraktion bei der Feier vertreten, für deren Verlauf ich Ihnen die besten Wünsche übermittele.

Mit dem Ausdruck des Bedauerns über den Verlust, der die Georgische Kolonie in der Bundesrepublik mit dem Ableben des Herrn Präsidenten Noé Jordania betroffen hat, und verbindlichen Grüßen.

OTTO BEZOLD

*Vorsitzender der Landtagsfraktion
der F. D. P.*

Zum Hinscheiden des im Exil verstorbenen Präsidenten der Unabhängigen Demokratischen Republik Georgien, Noé Jordania, übermittle ich der Georgischen Kolonie den Ausdruck meiner herzlichen Teilnahme.

Dr. HUNDHAMMER

*Bayerischer Landtag
Präsident*

Sehr geehrte Herren!

Wir wissen Ihnen aufrichtigen Dank für Ihre lebenswürdige Einladung zur Trauerfeier der Georgischen Politischen Organisationen in der Bundesrepublik anlässlich des Ablebens des Herrn Präsidenten der Unabhängigen Demokratischen Republik Georgien, S. E. Noé Jordania.

Leider ist es keinem unserer Fraktionsmitglieder möglich, am Wochenende an dieser Trauerfeier in München teilzunehmen. Wollen Sie daher bitte unser Fernbleiben gütigst entschuldigen. Es ist uns ein



Herzensbedürfnis, dieser Entschuldigung aufrichtige Anteilnahme an dem Verlust, den die fern ihrer Heimat weilenden Georgier erlitten haben, anzufügen.

Seien Sie überzeugt, dass insbesondere wir als Heimatvertriebene es ganz besonders zu ermessen vermögen, was eine ins Exil verdrängte Volksgruppe beim Verlust ihres Volksgruppenführers empfinden muss.

Gerade in diesem schicksalsverwandten Sinne dürfen Sie unsere Beileidsbezeugung als besonders echt und wahr empfinden.

Wir wären Ihnen zu Dank verbunden, wenn Sie diese unsere Empfindungen den Mitgliedern der Georgischen Kolonie sowie der Georgischen Politischen Organisationen in unserer Bundesrepublik verdolmetschen wollten.

In Schicksalsverbundenheit und im Geist eines neuen, freien Europas übermitteln wir Ihnen

den Ausdruck vorzüglicher Hochachtung.

Dr. J. H. STROSCHÉ M. d. L.
1. Fraktionsvorsitzender
Landtags — Fraktion. Bayern

Sehr geehrte Herren!

Wir erhielten heute die auch für uns sehr traurige Nachricht, dass der Präsident der Unabhängigen Demokratischen Republik Georgien, Noé Jordania, nicht mehr lebt.

Nehmen Sie bitte Ausdrücke unserer herzlichsten Teilname im Namen aller polnischen in Deutschland lebenden Flüchtlinge entgegen.

Das polnische Volk war stets ein grosser Freund des georgischen Volkes und deshalb sind Ihre Freuden die unseren und Ihr Schmerz unserer Schmerz.

Wir beugen unsere Häupter vor dem verstorbenen Präsidenten und senden allen Georgiern unser herzlichstes Beileid.

Wir werden versuchen, uns durch un-

seren Vizepräsidenten Herrn S. Mikiciuk während der Trauerfeier vertreten zu lassen, sofern dieses des kurzen Termins wegen noch möglich ist.

Mit Ausdrücken grösster Hochachtung und Freundschaft.

Für den Hauptvorstand:
Präsident:

Dr. Ing. J. ZAWALICZ — MOWINSKI.

Generalsekretär:

Witold W. SZWABOWICZ,
Verband Polnischer Flüchtlinge
in Deutschland E. V.

Sehr geehrter Herr President,

Mit grösstem Trauer und Mitgefühl habe ich die Nachricht über das Ableben Ihres hochverehrten Präsidenten, Herrn Noé Jordania erhalten.

Ihr hochverehrter Präsident war das lebendige Symbol der Freiheit — er hielt die Flagge des unabhängigen Georgiens, welche er unter seiner Regierung so treu und tatkräftig diente, auch nach der brutalen Eroberung des Landes durch drei Jahrzehnte aufrecht und verkörperte damit die ewigen Rechte des georgischen Volkes für Freiheit und Unabhängigkeit. Es war so ein grosser Dienst für die grossen Ideen der Freiheit aller Völker.

Indem ich bitte Sie meine tiefsten Mitgeföhle empfangen und an die zuzhörigen Stellen weiterleiten zu wollen, betonend, dass ich, der mit Ihrer Vertretung im Interesse der Zusammenarbeit aller freiheitsliebender Völker Jahren hindurch so eng und brüderlich zusammenarbeitete, mit besonderer Innigkeit und Mitgefühl Ihr grosses Trauer teile, gebe ich dem warmen Wunsch Ausdruck, dass die Freiheit des georgischen Volkes je eher verwirklicht werde.

Mit besonderer Vehrung Ihr
Dr. ARTHUR R. MOOR

ბ-ნი მოხრი აჩის უნგრელი — ყოფილი თავმჯდომარე გერმანიაში არსებულ უცხოელ ლტოლვილთა ცენტრალურ კომიტეტისა.



ბ რ ბ მ ს

ქეჩა არის შენი ბინა,
დღე და ღამე უღვთოთა წვალობ,
მუდამ სხვის სიმძიმეს ათრევ,
ქედ - მოხრილი დაყიალობ!

უშენოთ კი არვინ ვარგა,
ცხოვრების ხარი წმინდა წყარო,
თვით არ გესმის რა ძალა გაქვს,
ბედი - შავი ხარი, სამსახარო!

ვისაც უნდა ოხრად იყო,
ზოგჯერ ზრდი და მას აღიდებ.
ვინც ხსნასა და შევლას გიწყობს
ხან და ხან მას ჯვარზე კიდებს!

მაგრამ ზოგჯერ წვალება რომ
ყველა საზღვარს გადალახავს,
ბოროტება აღარ გზოგავს,
შენი ყოფნა განწირვას ცავს,

მაშინ იცი გაღვიძება,
ბრძოლის ველზე მდგრად დგები,
და ღაჩარო გუშინდელი
ამაყი და გამირი ჰხდები!

ყველასაგან პასუხს ითხოვ,
არავისი არ გაქვს შიში,
ცოდვას ანკრევ, მაგრამ მადლის
აღარ იცი სნეარში...

ქვეყნის გაჩენიდან დღემდე,
გრძელმა დრო და უამმა გაწვლი,
შენც ხომ რასმეს უნდა მიხვდი,
რამე ხომ უნდა ისწავლო?

ერთი ბოროტება მოსაყ,
სულლი გასძვრა შენგან ძლევს.
მაგრამ თავი ჩააბარე,
ძალას ასჯერ უფრო წყევლს!

ბორკილებში გამოგჭედა,
ციხეში ხარ ჩაკეტილი,
რალას უციდი, რომ არ იმბობ:
ან სიცოცხლე ან სიკვდილი?

ხომ უყურებ რა დღეში ხარ?
გველ - ნაკბენი გველს სცემს თაყვანს,
ჯოჯოხეთში თითონ შედი,
და სხვა ჩოგოტი გამოგიყვანს?

რას ვიშველის აქა - იქა
თავს რომ ასწევ ცოცხალ - მკვდარი?
დიდი ცოდვის ჩამოდგმას
მუდამ უნდა დიდი ჯარი!

წვიმას ჰშვენის შეუწყვეტლად
როცა სცემს და მოდის ხშირი,
მტერს რომ ებრძვი, შენც იხმარე
სვლა და ცემა ამნაირი.

ლოცვით ბორკილს ექრ მოიხსნი,
ამოთა შიში, თრთოლვა,
სისხლიანი ჯოჯო მეფობს,
ციხისნის მხოლოდ გიყი ბრძოლა!

ზღვისკან ღელევა დაისწავლე,
ქარიშხლისგან დაჯახება,
ქეჩა - ქუხილმა რომ იცის
ისტე უნდა დაძახება.

ერთათ უნდა შეუტყო,
თავს დაესხა ყველა გზიდან,
ისტე მაგრათ უნდა დაჰკრა,
რომ ვარდება მენი ციდან!

რალფი.

ხ მ ე ლ ი წ ი ფ ე ლ ი

(ვაჟა ფშაველასებური)


ერთს დაბურჯულ ტყეში, ცოცხალ მცენარეთა
შორის, ერთი ხმელი წიფელი იდგა... ეს უზარ-
მსზარი და ლამაზი, მრავალ შტოიანი, მაგრამ
უფოთლო ხმელი წიფელი იდგა ჩუმად, ამაყად,
დაღვრემით... ნელი სიოს ყოველ დაბურვისას
ყველა ხეები ახმაურდებოდნენ ხოლმე თავიანთი
ფოთლების შრიალით. ხმელი წიფელი კი იდგა
უძრავად და არავითარსი სიცოცხლის ნიშან -
წყალს არ იძლეოდა.

ძლიერი ქარიშხლის დროს ყველა მცენარე-
ები მართალია ქარს წინააღმდეგობას უწყევდნენ,

მაგრამ ფოთლების შრიალით მაინც ქედს იხრი-
დნენ ქარიშხლის წინაშე. მაგრამ... ხმელი წი-
ფელი ქარიშხლის წინაშე არასოდეს ილუნებო-
და, არამედ იდგა მარხად მედვარი და ამაყი!

იმ დაბურჯულ ტყეში, ახლო - მახლო მდებარე
სოფლებისათვის, ხმელი წიფელი აღვილმდება-
რიეობის მარვენებელი იყო. ხშირად ისმოდა სო-
ფლის მცხოვრებთა შორის ასეთი ბაძაი:

„სანადიროთ რომ ვიყავი, ხმელი წიფლის
ქვეშ ვაგათენე“.



„ხმელი წიფლის სამხრეთით მშვენიერია, ანკარა, ცივი ნაკადი ამოსჩქეფს...“

მოზი-ახლო მდებარე სოფლების მცხოვრებთ ძლიერ უყვარდათ ხმელი წიფელი და ხშირად იგონებდნენ იმ ბედნიერ წუთებს, რომლებიც ხმელ წიფელის აჩსებობასთან იყო დაკავშირებული.

მაგრამ, იყო დრო, როდესაც ხმელი წიფელი ისევე ცოცხლობდა, როგორც ყველა დანარჩენი მცენარენი, რომლებიც მას გარშემო ეხვია. იყო დრო, როდესაც იგი შრილობდა ფოთოლი-მზავალი და ილერსით დაჰყურებდა მის გარშემო მყოფ პაწია მცენარეებს... იყო დრო, როდესაც თავისი ჩრდილით ხალხს მხურვალე მზის სხივებისაგან იცავდა. მის ჩრდილში ყოველი სულიერი სივრცისთვის, სიმშვიდეს და თავისუფლებას გრძნობდა.

და არა მარტო ხალხს, ბუმბერაზი წიფელი თავისი სხეულით და ძლიერებით პატარა მცენარეებსაც იცავდა. ძლიერი ქარიშხლისა და წვიმის დროს პატარა ცხოველებსაც ჰფარავდა... ვერც ერთი ქარიშხალი მას ვერც ერეოდა და იგი ყოველთვის გამარჯვებული გამოდიოდა... სტიქიონთან ბრძოლაში გამარჯვების შემდეგ მისი ძლიერება არ კლებულობდა და ამჟამად წიფელი ისევე წყნარი, მშვიდი და ალერსიანი ხდებოდა.

ეხლა კი?! სდგას ეს ამჟამად ხმელი წიფელი ცოცხალ მცენარეთა შორის და აღარ იღებს მონაწილეობას ბუნების ძალითა მოძრაობაში.

- იგი სამუდამოდ სდუმს..
- იგი დაღვრემილია..
- იგი მიუკარგებელია..

აი ასეთ ხმელ წიფელს, რომელიც მარტოდ-მარტო სდგას სხვა მცენარეთა შორის, დამოუკიდებელ საქართველოს პირველ პრეზიდენტის, ნოე ჟორდანიას, სამარე მსგონებს.

ნოე ჟორდანია, საქართველოს სახელოვანი შვილი, რომელიც მონობისაგან განთავისუფლებულ საქართველოს სათავეში ჩაუდგა, გახდა დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტი და თავის წინდახედულობით და შორს-მჭკრეტელობით იმუშავა თავისი ქვეყნის საკეთილდღეობით, წვეს ეხლა წყნარად, დაღვრემილი და სამუდამოდ უძრავი, ცივ სამარეში.

ნოე ჟორდანია, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე, როგორც საქართველოში, ისე საზღვარ-გარეთ ყოფნისას თავის სამშობლოს დამოუკიდებლობას შესწირა, აი ეს პატარა საქარ-

თველოს დიადი შვილი, შავს მიწას არის მიბაჩეხული და მისი სამარე — მისი მეგობრებისა და მისი თანამოძმეების სიყვარულით არის მოფენილი.

განა, ყველაფერი, რაც ხმელია, კაცისაგან საწყურარია?!

ათას ცოცხალსა ბევრჯერა, ათჯერ სჯობს ერთი მკვდარი!

ხშირია ცხოვრებაში, როდესაც ერთი გარდაცვლილი, ცოცხალი ხალხის მანათობელ ვარსკვლავად ხდება! არის ხოლმე, როდესაც ერთი გარდაცვლილი — ღამის ჩირაღდანივით გეზს აძლევს სიბნელეში მოძრავ ხომალდებს...

სიბნელეში ანთებული ჩირაღდანი და მანათობელი ვარსკვლავი არის დიადი ნოე ჟორდანია, რომელიც თავისი წარსული მუშაობით გვინათებს ცხოვრების გზას და გვასწავლის ცხოვრების რთულ ლაბირინტში სწორი გზით სიარულს.

ძნელია ბუმბერაზი ადამიანის, ბუმბერაზი სახელის დაკარგვა შეტადრე პატარა ერისათვის. ფაჰ! რა ძნელია კვდებოდეს, იკარგებოდეს სახელი! მაგრამ განა ნოე ჟორდანია თავისი სიკვდილით თავის სახელსაც ჰკარგავს? სრულებითაც არა! ნ. ჟორდანიას წარსული მუშაობა იმდენად დიდია და ნაყოფიერი, რომ ქართველი ხალხი მის ამავს ვერასოდეს ვერ დაიგოწყებს. მართალია ნოე ჟორდანია ამ უამად უცხოეთში განისვენებს, მაგრამ მოცა დრო და მისი ნეშტი გადატანილი იქნება თავის საყვარელ სამშობლო — საქართველოში!

ნოე ჟორდანიას არსობა და საქართველოს დამოუკიდებლობა — ეს ერთი და იგივეა, და ამ იდეისათვის იგი იბრძოდა, როგორც საქართველოში, ისევე საზღვარ-გარეთ.

- ეხლა კი ნოე ჟორდანია სდუმს სამუდამოდ..
- ეხლა იგი დაღვრემილია..
- ეხლა იგი მიუკარგებელია..
- მაგრამ მისი სახელი კვლავ სცოცხლობს!

მოცა დრო და მთელი ქართველი ხალხი მუხლს მოაყრის ნოე ჟორდანიას სამარის წინაშე ისევე, როგორც საზღვარ-გარეთელი ქართველობა მუხლ-მოყრილი სდგას მისი დროებითი საფლავის წინაშე.

საუკუნო დიდება ნოე ჟორდანიას წმინდა სახელს!

ნიკო შარაშიძე.

2 თებერვალი, 1953 წ.
ნიუ - იორკი.



სიკვდილი „უკვდავი“-სა

საბჭოთაო ქვეყნის დიდ მბრძანებელს, მსოფლიო კომუნისტის უცალო ბელადს გამოუქროლა სიკვდილის ცელმა და დასცა იგი ვითარცა უბრალო მონაკვეთი ამა ქვეყნისა. ქრემლის დიქტატორს, ლეგენდებით ცამდე აყვანილს, ჰკითხულობს ქუჩა ვით შეეხო მას სიკვდილის ხელი...

ღელვას მსოფლიო. ეკითხება მანანი მანანს თუ რა მოეღოს ჩვენს პლანეტას სტალინის შემდეგ.

.. და მოყოლებით ამა დღისა დაიწყება შეფასება მისი ცხოვრების. შშრალი გონების პარტიული მიყრდნობით ყველა მის რიგად მიუღდება და დააფასება... და იქნებ, ქრთ დროს, ისტორიამ წმინდა რუსისამ — ისევე როგორც პეტრე დიდი —

ეროვნულ გმირად გამოაცხადოს... ხოლო „ქართლის ცხოვრების“

განმგრძელებლისთვის იგი იქნება უდიდესი შვილი ქართველი ხალხის, რადგან: პირადი განდიდებისთვის უცხო ქრის ხიშტით დაქელა სუფერენობა თავის ქვეყნისა. რომანოვების ტახტის მემკვიდრემ თვით

რომანოვებს წააგობა ქართველთ რბევაში. დემონიური გაიდევრობით მან არ დაინდო მოყვასი თვისი, მეგობარი, თანამებრძოლი... და ამდენ სისხლით მოსერილ მის სახელს წყევლა და კრულვით მოიხსენებს შთამომავლობა

ქორნიკონი.

გ ა თ ა მ ა მ ე ბ უ ლ ი უ ვ ი ც ნ ი

როგორც ვიცით, ქართულ ემიგრაციის ცხოვრებას იდუქრად ისეთი პასუხისმგებელი პირები უძღოდენ, ვინც ჩვენ საშრობლოს აკარგს იცნობდენ და საკმაო ცოდნა - გამოცდილებაც ჰქონდათ. საქართველოსა და მის ალალ საქმეს ესენი ქვეყანას აცნობდენ, მოყვარეს თავლს უხელდენ, ქრის კვლავ განთავისუფლებისათვის იბრძოდენ და მეგობრებს იბენდენ. მოკლედ, უცხოელებს ქართულ საქმისათვის რაზმადენ და ემიგრაციას მორალურ გავლენის ქვეშ აქევიდენ. ეს იყო ქრთი წრე სხვა და სხვა მიმართულების მოღვაწეთა, რომელნიც საქართველოშიც ცნობილი იყენ და რომელნიც ქრთა განთავისუფლებისათვის მრძოლს საწარმოებლად უცხოეთში წარმოგზავნა.

მრავალ წელთა მანძილზე მათ მიემატა ახალი კადრი, რომელიც ამ გამოცდილთა გავლენის ქვეშ აღიზარდა, გაიწვრთნა და ექროპიულ კოდნით აღიჭურვა. ესენი აგრძელებდენ ძველ ქართულ საქმეს და ყველა დამშვიდებულთ იყო, რომ ერის სახელით რაიმე სათაკილო და მანე ნაბიჯი არ გადიდემოდა.

ასე ვადიოდა დრო, ვიდრე ქვეყანა ცოტად თუ ბევრად ნორმალურ პირობებში იყო. ვიდრე მთელი მსოფლიო არ არა - დაიწია და ყველა საშინელ ქარიზხალის შიშში არ მოიცვა. აქ კი ისეთი მწვავე მდგომარეობა შეიქნა, რომ არა თუ პიროვნება, არამედ მთელი სახელმწიფოები და

ერები ფიზიკურ განადგურების შიშით არიან შეპრობილი და ამ დროს აბა რა დისციპლინაზე შეიძლება ფიქრი? ყველამ აღვიჩი აიშვა, ყველგან ანარქია გამეფდა...

სხვედთან ქრთად ქართული ემიგრაციაც მეტად აირია ამ მძიმე დროში! უპასუხისმგებლო ელემენტების შემაკავებელი მორალური ზღუდე გაირღვა. შემთხვევათა მადიებელნი ამოტივტივდენ და ყოყლოზობა დაიწყეს. მიხედენ, რომ დღეს მათთვის აღარავის სცალია, ქროვნული კონტროლი მიძინებულია და აბა რად არ უნდა ისარგებლონ ასეთის შემთხვევით! ვინ რისა დაუშლით! ამავ დროს კი შესაძლოა რამე „ეიძინონ“ და თუ მისი ნაცადი ასპარეზი უცებ გაშდიდრებისა გაძნელებულია, პოლიტიკური კომბინაციების საშუალება დღეს ზომ დიდა... და ეს მრატე და უფიცო ელემენტები იყენებენ ამ დროს. ისინი ამ საერთო არე - დარევის ხანაში დიდ და საპასუხისმგებლო საქმეს უცილებიან, რისი არც თავი გაეგვასთ და არც ბოლო. ეხლა, როცა მიხედენ, რომ გამკითხავი არსად არა, პოლიტიკურ სცენაზედ აცოცდენ და იქიდან მთელ ქვეყანას ეგლინებიან, ვითარცა ქართული საქმის ბატონ - პატრონი და უშალოესი ჰირისუფალნი. აქ ესენი მზგავს მოკავშირეებსაც დაეძებენ და სხვა ერების შემთხვევით ელემენტებთან ქრთად რაღაც „უნიონ“-ებსაც ადგენენ, გაუგებარ „დეკლარაციებსაც“ აქვეყნებენ და



საერთოოდ გადამეტყუებით ჰყვიროს და ყოყლოზობენ, რათა თვისი სრული უფიცობა დაჰფარონ.

მიზანი? მიზანი „წყვეული ექროშის“ შოვნაა, რომელიმე უცხო ძალებთან დაკავშირებით, რომელსაც ეს უფიცი „ბელადები“ თავის ქვეყანას და სიმბოლირებს დღესვე „ხანგრძლივ იჯარით ძალიან იაფათ უთმობენ“.

ჯერ ის ცოტა მორიდებულად აღვაძის ამ ნაბიჯს, შიში აქვს — ვინმემ თავში არა წაჰკრას და მისი ნამდვილი ვინაობა და წარსული ქვეყანას არ უამბოს; მაგრამ თანდათან ის თანამშობიება, ხელდას-რა, რომ საზოგადოებრივი კონტროლი არასად სჩანს.

აბა ეინ გაბედვდა ნორმალურ პირობებში ჩვენი ენის, ან თუნდ ემიგრაციის სახელით არა თუ „დეკლარაციებს“ გამოქვეყნებას, არამედ უბრალო ხმის ამოდებასაც? ან მოკრძალება იყო, ან შიში, რომ მას უფრო დამსახურებულნი და ავტორიტეტით მოსილნი აუშხედრდებოდნენ, პასუხს მოსთხოვდნენ და საზოგადოების წინაშე დასაჩქებდნენ. ამიტომ ზოგიერთი თამაში ნაბიჯის წინ — ათასჯერ ჩაფიქრდებოდა, ჩაქოლების შიშით ჩუმად უკან დაიხევდა და ძველებურად იმ საქმეს განაგრძობდა, რაც იცოდნენ და რის უნარიც შესწევდათ. დღეს კი, მტად გათავხედებულა, ის უფრო წინ მიდის და ენის ნამდვილი ჭირისუფლებს ჭკუას ასწავლის, დარბევებს აძლევს და „აფრთხილებს“.

როგორც ვთქვით, ეს არამკითხვენი უკვე ქართული ასპარეზითაც აღარა კმაყოფილებიან და კავკასიის განმანათლებლებლად და წარმომადგენლად ცდილობენ თავის გასაღებას.

ამ შესაჩვენებლობის ერთი ნიმუში (მრავალთაგან) გახლავთ დეკლარაციის მგავსად გამოქვეყნებული ერთადერთი „რეზოლიუცია“ „კავკასიელთა უნიონ“-ის გამგეობისა არგენტინაში, რაიც დიდას ყოფით განოაქვეყნა უფრ. „კავკას“-მა 1952 წ. ოქტომბრის ნომერში.

ამ „განცხადების“ ვარჩევა არა გვეონია საჭირო იქნეს, მას შემდეგ, როცა მის შესავალს გაეცნობთ.

აქ უბასუხისმეებლობათვის ჩვეულ რიხით გამოცხადებულა, რომ 1952 წ. 18 სექტემბერს მომხდარს არგენტინაში მყოფ კავკასიელთა საერთო ყრილობა. კერძოთ, ამ ყრილობაზე გამოცხადებულან ქართველები, აზერბეიჯანელები და მთიელნი, რომელთაც რაღაც მოხსენებები მოუსმენიათ, დადგენილებები მიუღიათ, ორგა-

ნიზაცია ჩამოუყალიბებიათ და გამგეობაც აურჩევიათ.

მოკლეთ, „მოისმინეს, დაადგინეს... ხალხი და-რჩა კმაყოფილი. ამის შემდეგ ქვეყნდება „ერთხმად მიღებული დეკლარაცია“, რომელც თითქოს ვიღაცას ებრძვის და რაღაცას იცავს. ბოლოს იჩვენება, რომ ის ებრძვის რაღაც ვისბადენს. რატომ, ან რა არის ამ ვისბადენში ასეთი, ამისი აჩვენებენ თავმჯდომარეს გაეგება რა და აჩვენის მრევლს. ან რას იცავს ეს „უნიონ“-ი, ამისი მათ არა იციან-ჩს, გარდა იმისა, რომ „სუვერენული კავკასი“, სუვერენული საქართველო, სომხეთი, აზერბეიჯანი და მთა უნდა იყენენ ერთად და მათის ჩრევით...
ამ მამლაყინების „დეკლარაციაზე“, რომელიც უთავბოლოად გადმოწერილია სხვა და სხვა ძველ გამოცემებიდან, ჩვენ არ შეგჩერდებით... ვიტყვით მხოლოდ, რომ ესაა უდიდესი შეუჩინა-ცყოფა იმ წმინდა იდეებისა და მაღალი ღირებულებისა, რასაც დიდი ხანია პირუთენელად და თავდადებით ემსახურებიან კავკასიის ერების ნამდვილი ბელადები.

ჩვენთვის, როგორც ვთქვით, უფრო საინტერესოა ამ „ყრილობის“ ნამდვილი ვინაობა გვეიცნოთ. არგენტინაში მყოფი ქართველები და სხვა კავკასიელებიც სახტად დაჩინენ, როცა ასეთ „ყრილობის“ ამბავი პირველად „კავკას“-ის ფურცლებზე იხილეს. „რა ყრილობა? სად და როდის მოხდა ის?“ კითხულობდა თვითუფილი... და პასუხი ვერ მიეღო. ეს ყრილობა ბნ ფომელაურების ფანტაზიაში მოხდა აღბად, რომელთაც რაღაც მიზნებისათვის სჭირდებოდათ „თავმჯდომარეობა“ და მისტიურ დეკლარაციების გამოქვეყნება. არგენტინის „ქართველთა საზოგადოებას“, რომელიც აქაურ ქართველების 90 პროცენტს აერთიანებს, დღემდე არაფერი გაუგია ამ „ყრილობისა“. მამ, საიდან და როგორ გამოაცხედს ეს სხვა და სხვა ენების ბელადების ჭკუის დასარიგებელი და მამხილებელი „რეზოლიუცია“?

კვლევ-ძიების შემდეგ, როგორც იქნა, ამ სკანდალის სათავესაც მივაგენით. თურმე, ქართულ საზოგადოებისაგან გაძევებულ გ. გომელაურს თავისი ახალი კომბინაციებისათვის მოუპოვებია ოთხი მისეტი გზა აბნეული ქართველი, ერთად - ერთი აღქმბეიჯანელი, (დაბადებული საქართველოში და მამა - პაპით იქ მცხოვრებელი), რამოდენიმე ცალი მთიელი და ვერც ერთი სომეხი. აი, ამ კომბინაციით, ქართველთაგან

კვლევ-ძიების შემდეგ, როგორც იქნა, ამ სკანდალის სათავესაც მივაგენით. თურმე, ქართულ საზოგადოებისაგან გაძევებულ გ. გომელაურს თავისი ახალი კომბინაციებისათვის მოუპოვებია ოთხი მისეტი გზა აბნეული ქართველი, ერთად - ერთი აღქმბეიჯანელი, (დაბადებული საქართველოში და მამა - პაპით იქ მცხოვრებელი), რამოდენიმე ცალი მთიელი და ვერც ერთი სომეხი. აი, ამ კომბინაციით, ქართველთაგან



სრულიად კონსპირატიულად, დაუნიშნავს „კრე-
ბა“ და რაღაც უთავბოლო მშხა რეზოლუციით
მოუთხოვია ვილაცას და რატომღაც დაგმობა და
ბ-ნ გომელაურის „პრეზიდენტად“ აჩრევია...

ამ შემთხვევით „შეხვედრაზე“ მოსულთა შო-
რის მანც აღმოჩენილა ერთი ქართველი, რო-
მელსაც დაუგმია ეს უპასუხისმგებლო ნაბიჯი,
მოუთხოვია ყველა კავკასიელთა კრების მოწვე-
ვა და სასტიკი პროტესტი განუცხადებია ასეთ
აჩრამკითხე ორიოდუ პიროვნების მიერ „კავკა-
ელითა“ სახელის შითვისების წინააღმდეგ.

ამ პროტესტს შეერთების მთიელთა კოლონიის
თავმჯდომარე და შემთხვევით შეკრებილთა და-
შლა მოუთხოვია. მაგრამ „თავმჯდომარეობაზე“
გამწარებულ გომელაურს, ეს კრება „კანონიერ-
რად“ უცნია. უფრ. „კავკას“-ის გულუბრაყველო
აგენტებს საჩქაროდ შეთითხნილი რეზოლუცია
გადაუკითხავთ, უცებ კენჭიც უყრისთ და დაშ-
ლილან. ამ მთელი ქონისა ამ არა არსებულ
„ყრილობისა“. ამ ამბავმა აღაშფოთა „ქართულ
მორწმუნეთა საზოგადოება“, რომლის წევრად
გომელაურის ითვლებოდა და ამ საზოგადოებამ
საგანგებო კრებაზე, ამგვარ სამარცხვინო ნაბი-
ჯის გადადგმისათვის გ. გომელაურს საჯაროთ
გაასამართლა, გააშავა, და **წევრობიდან გამო-
რიცხა.**

ყოველ ცოტად თუ ბევრად რიგან აღამინი-
სათვის, ეს საკმაო უნდა ყოფილიყო, რომ მას
სამუდამოთ კლიტე დაედო, მაგრამ ბ-ნ გომელა-
ურებისათვის ასეთი დაგმობა და საზოგადოები-
დან გამორიცხვა, სრულიად არაფერს ნიშნავს.

ბ-ნ გომელაურებს ჰგონიათ, რომ ქართული
საზოგადოებრივი აზრი მოკვდა და ამიტომ თა-
ვისუფლად გადადიან მოცეკვავე - მოჯიხითეთა
ასპარეზიდან პოლიტიკურ ასაჩქესხე. მათ ასე
ჰგონიათ და „კავკას“-ში დეკლარაციებით გა-
მოდინან; მაგრამ ქართველობა გულში სულ სხვას
ჰფიქრობს და სხვა შეფასებას აძლევს ამ არა-
მკითხე ჯამბაზებს...

ნუ ავიწყდებათ ამ მდროვეთ, რომ რაც უნდა
არც - დარევა იყოს, ჩვენ ისე არ დავიბნევეთ,
რომ თერთი შავისაგან ვერ გავაჩრიოთ და გა-
თავხედებული უეცრები მეთაურებათ გავიხა-
ლოთ.

ტვილისელი.

ნოე უორდანას სამოქალაქო პანაშვილი

პარზის ქართული სათვისტომოს განგებობა
გეთხოვს გამოცეხადლოთ, რომ საქართველოს
დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტის
ნოე უორდანას საპატივეცილო სამოქალაქო პა-
ნაშვილი დანიშნულია კვირას, 3 მაისს, ნაშუა-
დღევის 3 საათზე, 4, Square Rapp—Paris 7e.

ანტიკომუნისტური ბრძოლა

აღმოსავლეთ ევროპიდან გადმოხვეწილი
ლტოლვილნი თავისუფალ ქვეყნების საზოგა-
დოებრივ აზრის მორალურ დახმარებით ემზა-
დებიან ენერგიულ ბრძოლის საწარმოებლად
თავიანთ ქვეყნებში მოსკოვიდან ჩამოყვანილ
მთავრობების წინააღმდეგ. სტოკოლმში დააჩსდა
ესტონიის ეროვნული კომიტეტი შემდეგ სახელ-
წოდებით: „ესტონიის ეროვნული მთავრობა გა-
დმოხვეწილობაში“. ამ მთავრობაში შედის ეს-
ტონიის ხუთი ყოფილი მინისტრი. შეეცდის ხე-
ლისუფლებამ მისი ტერიტორიაზე ამ მთავრობას
აუკრძალა ლეგალური არსებობა, რისთვისაც
მისი ოფიციალური რეგისტრაცია შობდა ოსლო-
ში (ნორვეგია).

ნიუ - იორკში ამჟამად პოლონურ ორგანიზა-
ციებს შორის საწარმოებს მოლაპარაკება გადმო-
ხვეწილ მთავრობის რეორგანიზაციის შესახებ.
მთავრობის თავმჯდომარის თანამდებობაზე არ-
ჩეულია ლენ. სოსნოესკი. ახლად არჩეულ ერო-
ვნულ კომიტეტში შედიან ჯოგორც ყოფილ
მთავრობის, ისე პოლონურ პოლიტიკურ საბჭოს
წევრები.

დასავლეთ ევროპაში დაარსდა უკრაინელ
მემართა ანტიბოლშევიკური ასოციაცია.

სახელწოდების შეცვლა

ნიუ - იორკში არსებული ქართული პო-
ლიტიკურ ორგანიზაცია, რომელიც წინეთ ატ-
არებდა „ქართულ დემოკრატიულ კავშირს“-ს
სახელწოდებას, გეთხოვს გამოცეხადლოთ „მებრ.
საქ.“-ში, რომ ამიერიდან მას ეწოდება „დამო-
უკიდებელ დემოკრატიულ საქართველოს ამე-
რიკული საბჭო“.



პ ი რ ო ვ ე ნ ბ ი ს თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ა

შ ე ს ა ვ ა ლ ი

თანამედროვე ხანა მეტათ დიდ გარდატეხათა ხანაა; იგი აუცილებლათ გარდამავალი პერიოდია. ვინაიდან დღეს ზდება საზოგადოებრივ ურთიერთობათა და საზოგადოებრივ წყობათა ძირითადი გარდაქმნა;

ყოველი ძირითადი ცვლილება საზოგადოებაში: ძველიდან ახალის შობა, ძველ, ჩვეულ გზათა ახალი, უთელი გზებით შეცვლა, ძველ ღირებულებათა ძირითადი, კარდინალური გადაფასება, ძველ ქსელების დაკლებით, ძველ შემუშავებულ აზრთა, გრძობათა, ტრადიციათა, და კანონთა დარღვევით დიდ გაურკვევლობას და დაბნევას იწვევს;

ძველი შაბლონები და ძველი ტრადიციები ცხოვრებას აღაწევენ; ახლები კი ჯერ ნათლათ გამოკვეთილი და ჩამოყალიბებული არიან;

აღამიანს სურს მოქმედება; მოქმედება კი არ ჩვენს და გადაწყვეტილებას მოითხოვს.

ამ გაურკვეველ, გარდამავალ, ტრანსფორმაციის პროცესში, სინამდვილის წინაშე გარკვეულ აზრის მიღება მეტათ ძნელდება: აღამიანს შეცდომის ემინა, მომავალ თაობათა წინაშე პასუხისმგებლობის ურიდება და ამიტომ ყოყმანობს; აღაწევის კნა ჰქნას: ძველ ფორმებს და ცნებებს ჩაებლაუტოს და ახლებს ომი გამოუტყნადოს, სოციალურ დროებითა და შემთხვევითა, არა ნორმალურ მოვლენებს; თუ მათ ზურგი ურვენოს, როგორც დრო მოქმულ, ახალ დროითის გამოუსადეგარ, სამსუზეუმო ნივთებს და მთლიანათ ახლათ მოვარდნილ ტალღათა მდინარებას მიჰყვება.

ამ ყოყმანის დროს ცხოვრება თავის გარდაუვალი გზით წინ მიდის; აღამიანი მას ეყდარ ეწევა; ცხოვრებასა და მოვალეობას ჩამორჩენილი, იგი უზომო ტკივილებს გრძობს;

ტკივილებს მწარე და ღრმას;

ტკივილებს ფიზიკურს და სულიერს;

ტკივილი კი ავადმყოფობის სიმპტომია: დაუდევართა და უმეცართათვის იგი სიკვდილის წინამორბედია;

ფრთხილთა და გონიერათათვის — გაფრთხილების ძახილია;

ყველა გრძობს, რომ მეტი ყოყმანი აღარ შეიძლება და ამიტომ აჩქარებული ხალხი სინამდვილის შესწავლას, მის დაკვირვებას და მოვლევ-

ნათა აზრის და მდინარის გაგებას თავს ანებებს; მათი საამისოთ აღარ სცალიათ;

მათ გარკვეული პოზიცია უნდა დაიჭირონ; ერთ-ერთ მიმდინარეობას უნდა მიემხრონ; ყოველი დიდი საკითხის გადაწყვეტა თვითელი ადამიანის ტემპერამენტს, გრძობებს და სიმპატიუბზეა მიხდობილი.

ტემპერამენტის თვალსაზრისით კი აღამიანები ორ ჯგუფათ იყოფიან: ისინი, ვინც ყოველივე ძველის, ჩველის, ტრადიციულის მოტრფილენი არიან და ისინი, ვინც ვერაფრთარ ძველს ვერ ითმენენ და ყოველივე ძველის, წარსულის და ტრადიციულის მიმართ სიძულვილს და ანტიპატიას განიცდიან;

პირველნი, ძველ წესებში აღზრდილნი და ძველ საზოგადოებრივ ურთიერთობათაშნ შეზოცრებულნი, ალღოს ვერ უღებენ ცხოვრების ევოლიუციას, ვერ ახერხებენ მის გაგებას, მის გარდაუვლობის შეგებას და მისდამი შეგუებას; მიღებულ აღზრდით და წარსულით შექმნილ გაქვავებულ ჩველებათა რკალში მომწყვდეული, მათ ვერ წარმოუდგენიათ, რომ წარსული ეპოქისათვის დამახასიათებელი საზოგადოებრივი ურთიერთობანი და ფორმები, მტენებში და ღირებულებანი შეიძლება შეიცვალოს, სხვა გვარი სახე მიიღოს;

მეორენი კი, წარსულის და ყოველივე მასთან დაკავშირებულის სიძულვილით დამთქრალი, თავისი აზრის ჩამოქნას ცნებათა უბრალო ანტი-თქურთი შეცვლით აწარმოებენ: ყოველივე ის, რაც წინეთ არსებობდა უნდა მოისპოს და მის ადგილას უნდა დაისვას მისი საწინააღმდეგო, მისი ანტიპოდი.

აი თუნდაც ცნება პიროვნების თავისუფლებისა:

ერთნი გვეუბნებიან: „ძველათ პიროვნების თავისუფლება ნიშნავდა თვითელი პიროვნებისთვის პოლიტიკური ავტონომიის მიჩქებას; იქ ინდივიდი მართლაც ანსოლუტური ღირებულება იყო; დღეს ეს ასე არ არის; დღეს პიროვნებას გასაქანი შეზოცრილი აქვს და საზოგადოება მრავალ დაბოკოლებებს უქმნის მისი ინიციაციის, უნარის და სურვილების სრულ გაქნებას; ეს არის რეგრესი და ამიტომ საზოგადოება უნდა დაუბრუნდეს იმ იდეალურ წყობას, როცა მის წონასწორობას თავისუფალ ინდივიდ-



ბაში ყველაფერს თავისი მნიშვნელობა აქვს; მაგრამ ჩვენ თუ მანც მოვისურვებთ მასში ერთგვარ იერარქიის შეტანას, ამ შემთხვევაში პირველ ადგილას სწორეთ ისეთი ელემენტები უნდა დაეყენოთ, რომელნიც განსაკუთრებული სიმკვეთრით თვითიული, კერძო პიროვნების თავისებურობას ასახავენ.

ასეთი კი სწორეთ გრძობაა და არა გონება; გონება რომ მთავარი, ძირითადი ელემენტი იყოს, მაშინ ადამიანის თავისუფლებაზე ლაპარაკი შეუძლებელი იქნებოდა: გონება გამოსატყვევებს იმას, რაც ყველა პიროვნებაში მსგავსი და ერთგვარი და სახალდებულოა, ეინაიდან გონება თავისი ბუნებით უნდავერსალოური და ობიექტურია; როცა ჩვენ ვვაროვნობთ, ჩვენ ვცდებით გაყურით ჩვენში ყოველივე, რაც კერძობითი, სპეციფიური, ორიგინალური და ემოციურია; გონების მიზანია მისწვდეს ყოველივეს, რაც უნივერსალური და ობიექტურია; იმას, რაც სახალდებულოა არა მარტო ჩვენი დროისთვის, არამედ ყველა ებოქისათვის; არა მარტო ადამიანისათვის, არამედ ყოველი ცონებრივი არსისათვის;

პირიქით, ვრძობა და გრძობადობა ნებასთან ერთათ სუბიექტური, ინდივიდუალური და ამიტომ ისინი განსაკუთრებული სიმკვეთრით ადამიანის მთელ თავისებურობას გამოხატავენ;

სიამოვნება და ტანჯვა, მისწრეება და მიზიდულობა— ის მთავარი, არსებითი ფაქტორებია, რომლებიც ჩვენს ნამდვილ პიროვნებას ჰქმნიან; ყოველივე სხვა მხოლოდ ამ ძირითად ფონზე იშლებიან და ვითარდებიან.

ნიცმე აშკარათ ამბობს: „ოდესღაც შენ გქონდა ენებანი და შენ მას ბოროტებას ეძახდი; მაგრამ ეხლა შენ სათნოება გაქვს მხოლოდ და იგი ვნებამ წარმოშვა; შენს ენებას შენ შენი უწმინდესი მიზნები დაუკავშირე და ამრიგათ გახდა იგი შენი სათნოება და შენი სიხარული“. მაშ „ყური დაეუგდოთ, ძმებო ჩემო, სხეულის ხმას; ეს ხმა ყველაზე უფრო ლოიალური და წმინდა ხმაა“.

ყველაფერი, რაც პიროვნების თავისებურობიდან გამომდინარეობს და რაც ამ თავისებურობის განმტკიცებას და გაღრმავებას ემსახურება, კარგია და ამიტომ თვითიული პიროვნების მოქმედების დევიზი უნდა იყოს: „მე მათურს“.

ის, რაც ადამიანის უსაზღვრო ეგოიზმს გასაქანს აძლევს, კარგია.

ის, რაც მას ჰბოროტებს, ცუდი და საძრახია.

ეგოიზმი, მკაცრი პირადი ეგოიზმი უნდა უკან დახედეს იგას ჩვენს მოქმედებას.

უანგარობა, სხვისთვის თავის შეწირვა, საკუთარ, კერძო ინტერესების საზოგადო სიკეთისათვის დაქვემდებარება, ვებრალება, დასდობა ყალბი, მანებელი ცნებებია, პიროვნების დასაზიარება და მის მოსატყუებლათ გამოგონილი.

საზოგადოებას მონები სჭირია და ამიტომ იგი მონურ მოჩაღს ჰქმნის; ისინი, ვინც გულუბრყვილო არიან, ადვილათ სტყუებდებიან და სახელმწიფოს ექვემდებარებიან.

მათ გონიათ, რომ ისინი საერთო ინტერესებს ემსახურებიან, ნამდვილათ კი საკუთარი ეგოიზმის ნაცვლათ, სხვათა ეგოიზმს ენაცვლებიან.

„წარმოდგინეთ... თავდადებული პატრიოტები მამულისათვის წარმოებულ დაუნდობელ ბრძოლაში რო დაეცენ... მათი ეგამებით დანოყირებულ მიწაზე იფურჩქნება და ჰყავდეს ისრა... ინდივიდები მოკვდენ „ერის უზენაეს მიზნებისათვის“... სამაგიერით ერმა მათ რამდენიმე მადლობის სიტყვა უძღვნა და ამით მოიხალა მათ წინაშე თავისი ვალი.“

ერი, სახელმწიფო, საზოგადოება თვითათა ეგოისტის და სხვისთვის ბეჭეს არაფერს იმეტებს; ამიტომ, „იმის ნაცვლათ რომ უანგაროთ ვემსახურო ამ დიდ ეგოისტს, მე ვარჩევ თვით მე გაფხლე ეგოისტს“.

„მაშ შორს ჩემგან ყოველგვარი მიზანი, რომელიც ინტეგრალურათ არ არის ჩემი საკუთარი მიზანი“.

ამიქრიდან „მე თვით ვარ ჩემი საკუთარი მიზანი... ეს მიზანი უნიკუმია სწორეთ ისევე, როგორც მე თვით უნიკუმის ვარ“.

ასეთ შემთხვევაში, ადამიანის მიზანი ბრძოლა, განუწყვეტელი ბრძოლა, ეინაიდან თვითიული პიროვნების ეგოიზმი სხვა პიროვნებათა ეგოიზმს ეჯახება.

„მე თქვენ შრომას კი არ ვიჩივებ, ამბობს ნიცმე, არამედ ბრძოლას. მე თქვენ მშვიდობიანობას კი არ ვისურვებთ, არამედ გამარჯვებას. დეე თქვენი ნუშობა იყოს ბრძოლა და თქვენი მშვიდობიანობა გამარჯვება! თქვენ უნდა გოყვარდეთ მშვიდობიანობა მხოლოდ როგორც ახალი თმის საშვალება...“. ბრძოლა ადამიანის სტიქიაა. „უზენაეს ადამიანისათვის ყველაზე უფრო მძიმე ასატანი ის მდგომარეობაა, როცა მისი კუნთები და ნება დაჭიმული არ არიან“.

ეს ბრძოლა, კუნთების და ნების მუდმივი და-



ქიშვა თავისთავით სასიამოვნოა და ამდენათ მის დანაოუკიდებელი მნიშვნელობა აქვს;

მეგრამ ბრძოლას აგრეთვე შუალობითი ღირებულება აქვს: იგი საჭიროა საკუთარი პიროვნების გამომამკარავების, მისი თავისუფლების განმტკიცებისა და მისი სხვებზე გაბატონებისათვის.

„ყოველგან, სადაც კი ვიხილეთ ცოცხალი აჩრსი, მისში ვბოვე სურვილი ბატონობისა... მძღრეცილება იმისადმი, რომ იგი გახდეს ბატონი ყოველივე იმის, რსაც სუსტია...“.

ცხადია, ასეთი კონცეპციისათვის მორალი და უფლება ცარიელი სიტყვებია;

როცა აღამიანს მოქმედება სურს, მან არ უნდა იკითხოს, უფლება თუ არა მისი გადაწყვეტილება ნორალს ან უფლებას;

მან უნდა იკითხოს: შეუძლია, თუ არა მას ეს თვისი გადაწყვეტილება ცხოვრებაში გაატაროს; თუ მას საამისათ საკმაო ძალა აქვს, მისი აქტი მორალური იქნება და სამართლიანიც;

თვით მორალი და უფლებაც ძალის ნაწარმოებია: გარეშე საკმაო ძალისა ვერცერთი სამოქმედო ნორმა საერთო სავალდებულო იმპერატივთ ვერ გახდებოდა;

„მე გადაწყვეტილება მივიღე; თვით ეს გადაწყვეტილება ჰქმნის უფლებას; „ნე“—ა გარეშე უფლება არ არსებობს; თუ რაიმე სამართლიანია ჩემთვის, ეს ამითვე სამართლიანია თავისთავით; შესაძლებელია ჩემი აქტი უსამართლო იყეს სხვებისათვის... ეს გარეშეა მე არ მაწუხებს... დეე, იმათმა თავისთავი საკუთარი თავი დაიცვან“.

ჩემი უფლება, ჩემი ძალა;

ის, რასაც ძალით მივისაკუთრებ ჩემის; ის კი, რის მისაკუთრებას ჩემი ძალა არ ჰყოფნის, ჩემი უფლების სფეროს გარეშეა;

ჩემი საკუთარი ძალით მისაკუთრებული ნივთი იმ დრომდე მეკუთვნის მხოლოთ; მამასადაამე იმ დრომდე მატებს მე მისი საჩვენებლობის უფლება, ვიდრე მის შენარჩუნებას ვახერხებ.

შტირნერის აზრით, მიწა და მასზე მოყვანილი მარჩო იმას კი არ ეკუთვნის, ვინც დაამუშავებს იგი, არამედ იმას, ვინც ძალით მისაკუთრებს იგი და ვინც ახერხებს ძალით მათ დაცვას ყველა იმათგან, ვინც მათი ძალით წაართმევს სცდილობენ.

„როცა აღამიანი ახერხებს მიწის მისაკუთრებას, იგი იძენს ამით არა მარტო მიწას, არამედ აგრეთვე უფლებას ამ მიწაზე. ასეთივე ეგოისტუ-

რი სამართალი: ეს არის უფლება ჩემთვის და მამასადაამე იგი არის უფლება თავის - თავით. სხვაგვარი უფლება თვალმაქცობას... თუ ვფიქვს ჩემს დასავლედგათ გამოქნას, ეს მისი უფლებას; და მე თუ იგი მოვკალი, ეს უკვე ჩემი უფლებას. ვეფხვის წინაშე მე ჩემს უფლებას კი არ ვიცავ, არამედ ჩემს საკუთარ თავს... მას ვისაც აქვს ძალა, აქვს აგრეთვე უფლება; თუ თქვენ არ გაქვთ ძალა, თქვენ ვერ გექნებათ უფლებაც... ძალა წინ უსწრებს უფლებას და ეს სრული უფლებით“.

აღამიანს უფლება აქვს მისაკუთროს ყველაფერი, რაც მას მოსწონს და რის დაბატონებაც სურს, ყოველგვარი მისთვის უფრო ადვილათ მისაწვდომი სამეალებით: ძალით, მოტყუებით, თხოვნით, მოხერხებით, ფაიდელობით.

აღამიანი არის მტაცებელი ცხოველის სასუეთისო განსახიერება; მისი დევიზია: „ვიცოცხლო თავის ქეიფზე, ან სულ არ ვიცოცხლო“.

ამიტომ მისთვის არ არსებობს სიკეთე, თანაგრძობა, შეზრალეა, სამართალი, კანონიერება და მორალი.

ყველა ეს ცნებები სუსტების გამოგონებაა; მათ უზინათ ბრძოლის და შეგახების; მათ ეზინათ ძლიერთა და იკონებენ ისინი კანონებს და მორალურ ნორმებს; მათ სურთ კანონის და მორალის შემწვობით ძლიერებს გზა გადაუღობონ და მათ ნოქმედება გაუძლიონ.

სწორეთ სუსტებმა შეჰქმნეს ის აზრი, რომ ბატონობა და ძალადობა საძრახი უსამართლობაა, რომ სათნოა ის, ვინც თავმდაბალი და მორჩილია;

სუსტების მიზანია მგლების ძალებით გადაქცევა და აღამიანის სხვა აღამიანთა საუკეთესო შინაური ცხოველათ აღზრდა.

სუსტების მორალს ნამდვილი, ძლიერი პიროვნება ვერ გაჰყვება, ვინაიდან ამ შემთხვევაში აღამიანის ბუნება დაეცემოდა და დაღარბდებოდა; მოქელი თავისი შინაარსით დაიცლებოდა; და ყოველგვარ თავისუფლებას დაჰკარგავდა.

ნამდვილათ კი აღამიანის ძირითადი მიზანი, მისი დანიშნულება და მისი ცხოვრების აზრი არის მუდმივი ცდა ამაღლებისა: იგი უნდა ცდილობდეს — გამოამყლავნოს თვისი პიროვნება მთელი თავისი სიმდიდრით, მრავალ - ფეროვანებით და სიმდიერით.

ამისთვის იგი არაფერს უნდა მოქრიდოს: არც თვით მოძმეთა დაზავრას, არც მათი საკუთარი მიზნებისათვის შეწირვას.



ბუნების ძირითადი კანონები შოითხვას, რომ ძლიერნი რჩებოდნენ და სუსტნი იღუპებოდნენ; ამიტომ ძლიერთა სუსტებზე გამაჩრჯეება, ძლიერთა სუსტებზე, ბატონობა კანონიერი და სამართლიანია;

„უდიდესი ადამიანი უნდა იყოს აგრეთვე უდიდესი ბატონი დედა - მიწისა; უსასტიკესი უბედურება კაცობრიობისათვის ისაა, რომ უძლიერესნი არ არიან აგრეთვე უპირველესნი. ასეთ მომენტში ყველაფერი ყალბი და მახინჯი ხდება“.

„ადამიანები არა თანასწორი არიან“ და ამიტომ ზოგს ბატონობა უწევია, ზოგს მოსობა, ზოგს მეთაურობა და ბრძანებლობა, ზოგს კი მორჩილება და ბრძანების ასრულება.

ცხადია ასეთ პირობებში, პიროვნების თავისუფლება ყველა პიროვნებათა თავისუფლებას არ ჰგულისხმობს; პირიქით, ანარქისტული ინდივიდუალიზმისათვის კაცობრიობა მუდმივი, შეუწყერებელი ბრძოლის არეა, სადაც თვითთელი ყველას ებრძვის და ყველა თვითელს; აქ ინდივიდი თავისი, საკუთარი ძალების ამხრას მითვებულის; იგი ყოველგვარ საშვალებას ხმარობს თავისი გამაჩრჯეების უზრუნველყოფისათვის.

კაცობრიობას იგივე კანონები მართავენ, რაც ბუნებას.

ბუნების ძირითადი კანონი კი — უძლიერესთა გადარჩენის კანონია;

ეს კანონი ივრდაუვალია; ჩვენ იგი უნდა მივიღოთ და მის ნორმალურ მოქმედებას ხელოვნური დაბრკოლებანი არ უნდა აღვუმართოთ.

ეს კანონი კეთილია, ვინაიდან იგი სუსტთა დაღუპვით და ძლიერთა დაკვით, შერჩევას ახდენს და ამით კაცობრიობას აჯანსაღებს და ამდიდრებს.

ცხადია, ასეთი კონცეპციისათვის პიროვნება და საზოგადოება ერთმანეთისთვის შეურაცხებელი ცნებების;

„იქ, სადაც თავდება სახელმწიფო, იქ იწყება მხოლოდ ადამიანი... ამბობს ნიცშე, იქ იწყება სიმღერა აუცილებლობისა, მხოლოდია უნიკლმი, რომელიც არც ერთ სხვას არ ჰგავს“.

საზოგადოება საერთოთ და სახელმწიფო ერთობა ბატონობის და დამონების გარეშე წარმოუდგენელია; საპყრობილოე, გაბეება, სიკვდილით დასჯა მისი უებრო იარაღია ურჩთა დასათრეუნავათ და გაუტეხავ ნებათა მოსადრეკათ.

თავის ეგოისტური ბუნებას იგი ალტრუისტულ

სამოაელში ჰხვევა და თავისი კერძო, ეგოისტურ ინტერესების სამსახურს საერთო, საზოგადოებრივ კეთილდღეობის სამსახურს უწოდებს: თავისი ბატონობის გასამტკიცებლათ გამხულ ქსელს სახელათ „უფლებას“ არქმევს; კერძო პიროვნებათა თავისებურ, სპეციფიულ ორიგინალობას კი დნაშაულს.

ამრიგად პიროვნების და საზოგადოება — სახელმწიფოს შერაგება შეუძლებელია, ვინაიდან „სახელმწიფო და პიროვნება მოსისხლე, შეუტრეგებელი მტრები არიან“.

პიროვნება საზოგადოებისა და სახელმწიფოს მიმართ მუდმივ საწინააღმდეგოთ იწაწყობილი უნდა იყოს; მისი საღვთო ვალი მუდმივი, შეუწყვეტელი ამბობებაა.

„ამბობება მონის კეთილშობილებას, ამბობს ნიცშე. ეს ამბობება რევოლუციას არაა, იგი ერთი ორგანიზაციის მეთრე სახის ორგანიზაციით შეცვლა კი არაა, არამედ ყოველი ორგანიზაციის დამტრეება; მისი დევიზია: ხალხი მოკვდა! მაშ გაუმარჯოს „მე“-ს.

ამრიგათ ინდივიდუალისტური ანარქისტები საზოგადოების მოსისხლე მტრები არიან; მაგრამ არა ყოველგვარი საზოგადოების, არამედ ისეთის, რომელიც ძალდატანებითი, იძულებითი ხასიათისაა;

არსებობს ერთი სახეობა საზოგადოების, რომელსაც იოსინი ესალმებიან; ეს არის ასოციაცია: თავისუფალ ადამიანთა თავისუფალი, ნებაყოფლობითი კავშირი.

აი როგორ ასხვავებს შტირნერი საზოგადოებას და ასოციაციას: „ასოციაციაში შენ შედიხარ მთელი შენი თავისებურებით და ყველა შენი საშვალეებით; და მათი იქ ანაღებს; საზოგადოება კი შენ მოვიხმარს შენი სამშუაო ძალით; ასოციაციაში შენ მოქმედებ, როგორც ეგოისტი; საზოგადოებაში კი — როგორც ადამიანი ან რელიგიური არაა; იქ შენ ხარ „წევრი მთლიან სხეულის“. შენ უნდა მოახმარო მას ყველაფერი, რაც შენ გაგაჩნია; შენ ვალდებული ხდები მის მიმართ; შენ დატვირთული ხარ „საზოგადოებრივ მოვალეობათა“ მიერ; ასოციაციას, პირიქით, შენ შენი მიზნებისათვის იყენებ და ამიტომ, როცა შენთვის იგი მნიშვნელობას ჰკარგავს, შენ მას თავს ანებებ; არც არავითარი მოვალეობა და არც არავითარი გრძნობა ერთგულობისა შენ აქ არ იაწუხებს... ასოციაცია მხოლოდ იარაღია, რომელიც შენს ბუნებრივ ძალებს მეტ სიძლიერეს და სიმახვილეს ანიჭებს;



ქართული ეკლესიის რბევა

„მებრძოლი საქართველო“ — მქვევ ნომერში მე შევეცადე მიწვევებია საბჭოთა რეჟიმის ზემოქმედება ოჯახზე. მისი ამ უკანასკნელზე გამხარწნელი და დემორალისაციური გავლენა. მე იძულებული ვიყავი დავრჩენილიყავი ზოგადობაში, რადგანაც არც სიფრთხილის მოსაზრება და არც საგანგებო წესილის შესრულებლობა ნებსას არ მადლებდა კონკრეტისაციისას. ხოლო რაც შეეხება ფაქტებს ისინი არა მარტო მრავალრიცხოვანია, არამედ საყოველთაოცაა. ამ საერთო წესიდან ვერ გამოვლიან თვის რეჟიმის ბოროლებიც და მათი ოჯახებიც ასევე მსხვერპლნი ხდებიან რეჟიმის სიგიჟის.

მიმდინარე წერილში მე შევეცადე, აღვნიშნო ქართული ეკლესიის დევნა და მისი ბარბაროსული განადგურება.

მე მიზნად არა მქვს ქრისტიანული სარწმუნოების იდეოლოგიური დაფასება მოვანდინო. ამისათვის არც ჩემი აღზრდის პირობებით და არც ჩემი გონებრივი ფორმაციათ არ შეიძლება მოწოდებული ვიყო. ჩემთვის ღვთის მსახურების კულტს მნიშვნელობა აქვს, როგორც მორალური ღირებულებას; როგორც ერის ყოფაცხოვრების მნიშვნელოვან ფაქტორს.

ამგვარი მიდგომით, ქართველი ერის გულმომეტკივარისათვის, როცა საკითხი ქართულ ეკლესიას ეხება, არ შეიძლება იქნა აზრი არსებობს. მიუხედავად იმისა, რომ ქართველობა შეიძლება ყველა სხვა ხალხებზე ნაკლებად მისტიური მორწმუნე იყოს, ქრისტიანული ეკლესიის როლი და მნიშვნელობა ისე დიდი და აშკარაა ქართველი ერის შენახვის, დაცვის და გადარჩენის საქმეში, რომ ვერავითარი სხვა მოსაზრებები ვერ დაარდნილავენ მას. მარტო ის ფაქტი, რომ მცირე რიცხოვანი ქართველი ერის მუსულმანური სამყაროთი გარემოცული საუკუნოების განმავლობაში თავდაცვითი ბრძოლის აწარმოებდა ქრისტიანისების სახელით, მქვევტყველურად დაღაღებს ქართული ეკლესიის როლსა და მნიშვნელობაზე. თვით საქართველოს კათალიკოს ამბროსის გმირული მანიფესტი ბოლშევიკური რუსეთის მხეცობის წინააღმდეგ მართული, ერთი ულამაზესი ფურცელთაგანია საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ისტორიაში. ქართული ცხოვრების საზოდან გამოსული ვერცერთი ხელისუფლება, და ექვც რომელიმე დამპყრობელი ერის, რომელიც ოდნავ მაინც პატივსა სცემს ქართველ ერს, მის ტრადიციას და ისტორიულ ყოფას, ვერ აღმართავდა ხელს ქართული ეკლესიის სრულიად განადგურებლად. მხგრან, ქრემლის ტიარანისათვის არავითარი მორალი და ეთიკა არ არსებობს. იგი არად დავიდესთა ქართველი ხალხის ეროვნული ინტერესს. მისთვის მთავარია ვაბატონება, და ყოველივე რაც შეიძლება მას წინ აღუდგეს ცეცხლითა და მხხელით იქნება განადგურებული. ქართულ ეკლესიას მართლად შესწევდა უნარი სააშკაროდ გამოეცანა ბოლშევიზმის ვერავი ბუნება. არ შეიძლებოდა ეს გამოპარეოდა საბჭოთა მესვეურებს და მოიკი-

ლიც იმის, რასაც საზოგადოება უზენაეს ღირებულებათ სთვლის და რასაც იგი განსაკუთრებული მოდგინებით, თავდადებით და გულისყურით იცავს.

ასოციაცია არსებობს შენთვის და შენი შემწეობით; საზოგადოება კი თვისი მიზნებისთვის გიმორჩილებს შენ; იგი შენი სურვილის და ნების გარეშე არსებობს...“

საზოგადოების და პიროვნების შორის არსებული მიმართება შებრუნებული პროპორციის მიმართებაა: რაც უფრო ძლიერია საზოგადოება და მისი ზეგავლენა ცალკე პირებზე, მით უფრო სუსტია პიროვნება და პირიქით.

პიროვნების სრული ემანსიპაციისთვის საჭიროა მის მიერ საზოგადოებრივ გავლენისაგან თავის დანსნა და მოსგან განცალკევება;


პიროვნებამ საბოლოოთ უნდა დააღწიოს თავი საზოგადოების ტრადიციებს, მის მონურ მორალს და მის ბერწ, უთესლო აზრებს; — ყოვე-

ლიც იმის, რასაც საზოგადოება უზენაეს ღირებულებათ სთვლის და რასაც იგი განსაკუთრებული მოდგინებით, თავდადებით და გულისყურით იცავს.

„ყოველივე ის — ამბობს ნიცშე — რაც დიდია საჯარო მოედნის და ხმაურობის გარეშე... საჯარო მოედნის და ხმაურის გარეშე (წარმოიშვენ) ყველა დროის ახალი ღირებულებათა შემოქმედნი... მამ გაიქეც, ჩემო შეგობაჩო, გაიქეც და განმარტოვდი“.

ეს არის ერთი უკიდურესი შეხედულება, რომლის შეცდომებს ქვევით დავინახავთ.

(შემდეგი იქნება)




დეს თუ არა ფეხი საქართველოში, მისინვე გააჩნდეს ამკარა ბრძოლა ეკლესიის წინააღმდეგ. პირველ ხანებში ისინი შეეცადენ ცილისწამებით სახელი გაეტეხათ და ნიადაგი გამოეცლიათ მისთვის, მაგრამ, დაწმენდნენ რა, რომ ამ გზით გერაფითარი სასურველ შედეგს ვერ მიიღებდენ, გადასწყვიტეს უხეში გაკვრით ერთიანად მოეშალათ მრავალ საუკუნოვანი სახელოვანი ტრადიციის მქონე ქართულ ლეთის მსახურების მთელი ინსტიტუტი.

ამ გეგმის სისრულეში მოსაყვანად ხელისუფლების განკარგულებაში იყო ძალადობის უსაძგლესი ორგანიზმი — ჩეკა და უციცი კომსომოლები სოფლად და ქალაქად, რომელთაც პროგრესის სახელით ბრძოლა უნდა გამოეცხადებინათ „ცრუმორწმუნობისა“ და „რელიგიური სიბნელისათვის“. შედეგმა ყოველივე მოლოდინს გადააჭარბა: ხარები ჩამოხსნეს, სამრეკლოები გადმოანგრეს, საყდრის კარები გამოკეტეს, ღვთის მსახური მამები ძალით გაპარცეს და ხელი ააღებინეს ღვთისმსახურებაზე, ხოლო ვინც გააჯიუტდა ცხენებში გამოამწყვდიეს და ზევრიც სოფორც კონტრ-რევოლუციონერები კატორღებში გაისტუმრეს. პირველ ხანებში უნდოდათ ეკლესიების თეატრებადი და კლუბებად გამოყენება, მაგრამ მალე დაწმენდნენ, რომ იქ გასართობად არავინ მივიდოდა, შიატოვებს უბატრონოდ და უბატრონოდ მიტოვებულ ქართულ ეკლესიებს თუ ემსაკები არა სოფლის პირუტყვი დაეპატრონა. ვანსაკუთრებით სოფლად გულსაკლავ სურათს წარმოადგენდა ეკლესია და მისი ვალაყანი — სასაფლაო. ჩამტვრეულ სარკმელებში და ღიად მოიტოვებულ კარებში შეჭრილი შემოდგომის ქარი გულშემზარავად მოსთქვამდა, ხოლო შეაძნარით გადავილი მის ვალაყანში შეუძლებელი იყო ძვირფასი მიცვალებულთა საფლავების პოვნა. ევროპეულ ადამიანს, რომ ეს სანახაობა ეხილა, უეჭველად თავს იგრძნობდა პირველ-ყოფილ ველურთა შორის. სიონის ტაძრის გარდა, მთელს საქართველოში, 2-ეკლესია თუ იქნებოდა გადარჩენილი, სადაც ჩვეულებრივ წირვა - ლოცვა სრულდებოდა. 1930-იან წლებისათვის, ზემო იმერეთში, არც ერთი ეკლესია აღარ არსებობდა, სადაც ადგილი ჰქონებოდა ღვთის-მსახურებას. ერთად-ერთი მღვდელი იყო დაჩენილი, ტრადიციულ წვერსა და ანაფორას რომ ატარებდა. სულელ ანთიმოს ეძახდნენ მას, და მართლაც ძნელი იყო გაგება: ეს კაცი ძალით ისულელდება თავს თუ ნამდვი-

ლად სულელი იყო. ერთი კი ცხადია, რომ თეოლოგიურ და ფილოსოფიურ საუბრებში დიდ ერუდიციას იჩენდა. 20-30 კილომეტრის ფარგლებში ის იყო ერთად-ერთი მომაკვდავის მზარებელი, მიცვალებულის წესის ამგები და ახალ დაბადებულის ნათლის მცემელი. საკვირველია, მაგრამ ფაქტია, რომ მიუხედავად სასტიკი რეპრესიისა, იმგვითა საქართველოში ახალგაზრდა მოუხათლავი იყო. ბრძნული სიმშვიდით დასთმო ქართველმა ხალხმა წირვის მოსმენა, ლოცვა, ზიარება... მაგრამ ბავშვების მონათულა კი არა. თვით პასუხისმგებელი თანამდებობის კომუნისტებიც განებ თვალებს ხუჭავენ და ნებას აძლევენ მოხუც მშობლებს, რომ შეილი-შვილი საიდუმლოდ მონათლონ. თვითონ, რათქმა უნდა, ამ დროს, კრებებზე ან მივლინებებში იმყოფებან, რომ გახმინების შემთხვევაში თავი იმართლოს, მე არაფერი არ ვიცი.

დახეული სამოსელით, ხელში განუმორცხელი ჩანთით, რომელშიაც სახარება, საცეცხლურისა და ზიარების შარბათთან ერთად, ხშირად, ნათლობიდან წამოღებულ ერთი ბოთლი ღვინიც ედვა, ბავშვობისას ხშირად მინახავს ახოვანი, მუქდამ მოლიმარი, სასამოვნო შეხედულების ჭარბავი მოხუცი - მამაო ანთიმო. მხსოვს, უკანაკვლავ, ტიფით ნაავადმყოფარი ცხენით გმარუნდები სოფლად. გზად ეკლესიის ვალაყანზედ უნდა გაეიარო. მიუახლოვდი. ვხედავ არდილში ანთიმო და ერთი ახალგაზრდა გლეხი ისვენებენ. მივესალმე, გავესაუბრე... ანთიმო! ჩანთაში ღვინო გექნება, ეუზნება გლეხი. ანთიმო ღიმილით იღებს და აწოდებს ბოთლს. ქო, ეს ღმერთმა საქართველოს გაუმარჯოს! გადაკრავს და ალავერდს, ბოთლით, ჩემთან გადმოდის. სიყვარულით გვიღიმიან ანთიმო, გვიღიმიან და ალბათ ჰფიქრობს მოხუცი, რომ ქართველი ერი არ ვადამენდება, მაგრამ ისიც იცის: ეს ამბავი თუ ჩეკის ყურამდის მივიდა, ციმბირი სამივეს უკან დაგვრება.

ფეხით დადიოდა მუქდამ მამაო ანთიმო. ქამის გარდა უსასყიდლოდ მსახურობდა იგი. ღარიბი იყო, მაგრამ, შეიძლება თავისი მისიის შესრულების შეგნებით უფრო კმაყოფილი, ვიდრე რომელიმე მდიდარი ამა ქვეყნისა. არც ანთიმო ღვდელი დაინდეს ბოლომდე. ომის დაწყების წინ გავიგე — დაგპატიმრებინათ, მიხეზი კარგად არავინ არ იყოდა. ერთი ამბობდნენ ჯამუშობას აბრალდებენო. ჯამუშობას ხომ ყველას აბ-



პრეზიდენტ ნოე ჟორდანიას საპატივცემულო სხდომა არგენტინაში

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საქართველოს უკანასკნელ ამბავთა განმარტებას სამხრეთ ამერიკაში, სადა ხალხს უბრალო წარმოდგენაც არა აქვს ჩვენს ქვეყანაზე და საბჭოების მიერ ჩადენილ ძალადობაზე.

არგენტინის ქართული საზოგადოებაც სწორედ ამ მხრივ მიუღვა კითხვას და არ დააჩქარა ჩვენი პრეზიდენტის ვარაუდვებების გამო საგანგებო სხდომის გამართვა. ჯერ ის სათანადო სამზადისს შეუდგა და პრესის საშუალებით, გააცნო სხვადასხვა ქრონულ წრეებს ჩვენი პრეზიდენტის ხსოვნასთან დაკავშირებით, ჩვენი ქვეყნის ნამდვილი ვითარება და განსაკუთრებით ქართველი ერის უკანასკნელ ბრძოლათა ტრადიციული იპიზოდები.

შესაფერი წერილები მოთავსებულ იქნა ადგილობრივ გერმანულ, უკრაინულ, პოლონურ, რუსულ, ლატვიურ, ლიტონურ და სხვა ენებში, ზოგან ვრცელი და პრეზიდენტის სურათის დართვით; ესპანურ ენაზე კი დაიბეჭდა საგანგებო ფურცლები ნოე ჟორდანიას სურათით.

საგანგებო სამეგლოვიარო სხდომა გამართულ იქნა ქართულ სათვისტომოში მიერ ლიტოველთა კლუბის დიდ დარბაზში 15 მარტს, სადაც ქართველთა ვარაუდ მორწმუნო იქმნენ სხვადასხვა ეროვნულ ორგანიზაციათა წარმომადგენლები.

საჩუქ 19 საათზე ფარდა აიხსნა და საზოგადოების წინ გაიშალა სურათი, რომელიც მართლაც ეროვნულ მგლოვიარობას გამოხატავდა. გაისმა ქართული ჰიმნი. ესტრადა თალხით მორთული — ქრონული დროშებითაა შემკული, შუაში ქრონული ღერბი, ქვევით სდგას სავარძელი საქართველოს პრეზიდენტისა, შემოსილი შავებით და თეთრი ყვავილებით. ამ სავარ-

ძელზე ასვენია სურათი ნოე ჟორდანიასი. სავარძლის ირგვლივ ყვავილებია გამოლილი, ხოლო პრეზიდენტის სავარძლის ორივე მხარეს დგანან საპატიო ყარაულები შავ ჩოხებში.

ესტრადაზე გამოვიდა ქართული სათვისტომოს საპატიო თავმჯდომარე ბ-ნი აკაკი პაპავა, რომელმაც სხდომა გახსნა და პირველი სიტყვა ესპანურად წარმოთქვა. მომხსენებელი მოკლედ აცნობს დამსწრე უცხოელთა, საქართველოს უკანასკნელ ამბებს, მის თავგანწირულ ბრძოლებს დამოუკიდებლობისათვის და კერძოთა ნოე ჟორდანიას დამსახურებას ქართველი ერის წინაშე. მან აღნიშნა, რომ საქართველოს პრეზიდენტი არა მარტო მისი ერის განთავისუფლებისათვის იბრძოდა, არამედ რუსეთის იმპერიალიზმის მიერ დამონაგებულ ყველა ერებისა, რომელთაც განსვენებული მუდამ ერთობისაკენ მოუწოდებდა...

ამის შემდეგ ცხადდება: „ლაპარაკობს საქართველოს პრეზიდენტი“ და კვლისებრიან გაისმის დინჯი, მომხილავი ხმა, რომელიც მიკროფონით გადაეცა მსმენელთა. გადაცემულ იქნა ნოე ჟორდანიას საგანგებო სიტყვა: „ქართველ ერს“, რითაც მან ოკუპაციის ათი წლის თავზე ჩვენ ერს მიმართა. თითქოს ყველაფერი ეს დღეისათვის იყოს გამოტყედილი: ეს არის გაუგონარ გასაქიჩში ჩავარდილი ქვეყნის გამხნეება, წარსულ ბრძოლათა ტრადიციების გამოცოცხლება და მომავლის იმედის გაღვივება. „ჩა არის ერის ცხოვრებაში ათი, ან ოცი წელი, ეს ერთი წამია, ერთი შეფრქვევა... ჩვენი მზე ამოდის, მოსკოვის მზე ჩადის, განთიადი ახლოა. მხნედ, ძველებურად, ჩვენებურად!“ გაიშნა მანიფეს-

სილებენ საბჭოთა ქვეყანაში, ვისი თავიდან მოშორებაც უნდათ.

ომის მსვლელობის განმავლობაში, კრემლის ბატონებს, სრულიკის მიშველუბაც ისევე დასჭირდათ, როგორც საბჭოთა კავშირში შემავალ ხალხთა პატრიოტიზმის. ერთიც და მეორეც ძველი თამასუქებით მზის სინათლეზე გამოიტანეს. ეკლესიის სრბევა და შევიწროებაზე ხელი აიღეს დროებით. მაგრამ სცდებიან, ვისაც ჰგონიათ ღვთის - მსახურებას მშვიდობიანი ერა დადგომოდეს. ომის დამთავრების შემდეგ ანტი-რელი-

გიური კამპანიები ისევე გაათავრებით სწარმოებს, როგორც ომის წინ. ქართული ეკლესიები კვლავ დანგრეული და გაბარტახებულია. ახალგაზრდობას სასტიკათ ეყრდღესათ საეკლესიო რიტუალებზე დასწრება. მაგრამ იმედის ქართული ეკლესიის საფუძვლები მხინც გადასურება სრულ განადგურებას და, როდესაც ქართველი ხალხი აღიდგენს თავისუფლებას, მისი ეკლესიაც მესძღეს კვლავინდებურად ჩადგეს ერის მსახურში.

შურდული.

ტის დასასრულს და ხალხი ტაშით ეგებება პრეზიდენტის სიტყვებს.

თავმჯდომარე აცხადებს, რომ ეს მანიფესტი წაკითხულ იქნება ესპანურადაც; ყველა სმენად გაჩრდიტვა. მუსიკალურ ესპანურ უნით ამეტყველდა ნოე ჟორდანია... მომხიბლავი ტემბრით წაკითხულმა მანიფესტმა, მისმა სიმტკიცემ უდიდესი აღფრთოვანება გამოიწვია, კითხუ-

წევრს, დაშნაკელთა რწმუნებულს დ. დავითა-ნიანს. უკანასკნელის აღვზნებულ სიტყვას სომხურ ენაზე, დამსწრენი ისეთი აღტაცებით ისმენენ, თითქოს მათ ესმით ეს ენა; ორატორი იგონებს 1917 - 1918 შტელეარე წლებს, როცა ქართველებთან ერთად სომხებმაც და აზერბაიჯანელი სამოქალაქო ომი და აზვირთებული, გაბოლმეციკებული სრუსის ჯარი წალეკით ემუ-



სტუმრების ერთი ჯგუფი საპატიო ყარაულის ირგვლივ ბ-ნ აკ. პაპავასთან — პრეზიდენტ ნოე ჟორდანიას ხსოვნის საპატივცემლო სხდომაზე ბუნეს - აირესში (არგენტინა)

ლობდა ესპანელი დ. გრასუ, რომელიც მუდამ დიდის სიყვარულით იღებს მონაწილეობას აქაურ ქართულ კულტურულ საქმეებში და ჩვენს საქმესაც კარგად იცნობს.

ამის შემდეგ თავმჯდომარე უთმობს სიტყვებს სხვადასხვა ეროვნულ ორგანიზაციების წარმომადგენელთ.

პირველად ლაპარაკობს ბელოარუსების ორგანიზაციის და ეროვნულ მთავრობის წარმომადგენელი ბ-ნი მიჩლასკი. შემდეგ სიტყვას იღებს უკრაინელითა წარმომადგენლობის ცენტრალური ორგანოს რწმუნებული ბ-ნი ლევიცკი. უკრაინელით სცვილიან სლოვაკები, რომელთა რწმუნებული აღფრთოვანებული და მხურვალე სიტყვით გამოხატავს (სლოვაკური ენაზე) მისი ერის დიდ სიმბატეას ქართველ რაინდულ ერისადმი და მისი პირველი პრეზიდენტისადმი.

ამის შემდეგ სიტყვა ეძლევა სომხების წარმომადგენელს, საქართველოს პარლამენტის ყოფილ

ჭრებოდა. ნოე ჟორდანია მამინ უდიდესი სამსახური გაუწია ამიერი - კავკასიის ერებს. მან სიტყვა დაამთავრა ქართულად და გამსარჯვება უსაურვა წამებულ საქართველოს.

შემდეგ სიტყვას იღებს ლიტვის ყოფილი მინაგან საქმეთა მინისტრი და ლენინალური მტაშის უფროსი ღენ. დაუკანტასი, რომელიც დიდის სიყვარულით და პატივით იხსენიებს ჩვენს ქვეყანას და მის პრეზიდენტს. შემდეგ ილაპარაკა ყაზახთა ორგანიზაციის ყოფილმა თავმჯდომარემ ბ-მა ხარლამოვმა, რომელიც ნოე ჟორდანიას ჯერ პირველი დუმიდან იცნობდა, სოგო-ოც დეპუტატი და შემდეგ ტფილისში მოღვაწეობის დროიდანაც, როცა ხარლამოვი მთავრობიდან მოვლინებული იქნა, ვითარცა ამ. - კავ. ახალი მმართველი. ყველგან და ყოველთვის აკვირვებდა მას ნოე ჟორდანიათა ფართე შეხედულება, სიდარბაისლე, მხვილი გონება და არაჩვეულებრივი ავტორიტეტი ყველა წრეებში.



შემდეგ წარმოთქმული იქმნა ქართულად სიტყვა, რომელშიაც ერის გლოვა იყო გამოცხადებული და თან იმიდით, რომ მისი საქმე და წმიდა ანდერძი პრეზიდენტის გზით წარმისართებოდა და გამარჯვებით დაგვირგვინდებოდა. ბოლოს თავმჯდომარემ ბ-მა პაპავამ რუსულ ენაზე გააცნო დამსწრე რუსულ საზოგადოებას საქართველოს რესპუბლიკის წარმოშობის ამბები, ნოე ყორღანის ლეგალი 26 მაისის დღე აქტივი და ოკუპაციის შემდეგ პრეზიდენტის და ჩვენი ქრონოლოგი მთავრობის უმწიკვლო და თავდადებული მუშაობა.

დასასრულს მან ყველა დამსწრეთ, სათვისტომოს სახელით მადლობა მიუძღვნა და სთხოვა ყველა დელეგატები ასულაყენენ ესტრადაზე, საცა მათ სურათს გადაუღებდენ. ამის შემდეგ

სტუმრები მოწვეულ იქნენ მეორე საგანგებო დარბაზში, საცა ქართველები უცხოელებს გაუმასპინძლდნენ. აქ ხელახლა წარმოთქმული იქმნა სიტყვები ქართველი მამაცი ერის გამარჯვებისათვის. ასევე უსურვა ბ-ნ პაპავამ ყველა ჩვენი ქართული განთავისუფლება. ქართველებმა გულწრფელად უსურვეს რუსის ერს მალე განთავისუფლება ბოლშევიკურ ტირანიისგან. თავმჯდომარემ საგანგებოდ მიმართა სტრამაზე დამსწრე პოლონეთის მინისტრს ბ-ნ ანტონიუშკის და მის სამშობლოს მალე განთავისუფლების იმედი გამოსთქვა.

ჭეშმარიტად ამ საღამომ ჩვენი პრეზიდენტის აჩრდილთან ბოლშევიკებისაგან დევნილი ერები პარმონიულად გააერთიანა.

მ. დ.

უცხოეთის პრესა საქართველოს შესახებ

საქართველოში (სტალინის და ბერიას სამშობლო) ნაციონალიზმი იღებს მწვავე ფორმებს

ამ სათაურით პარიზის ფრანგ გაერ(ცელესტული) გაზეთი „ენტრანსასიჟანში“ (3/3 1953) მოთაქსეხულის შემდეგი წერილი:

„ქართულ გაზეთის?! „ზარია ვოსტოკ“-ის გადმოცემით სტალინის და ბერიას სამშობლო ამ უამად უნდა განიცდიდეს კრიზისს; მთავარ სახელმწიფოებრივ ორგანოებში სჩანს ანარქია სტავეს. პარტიის წინანდელი ცენტრალური კომიტეტი გაუქმებულის და მისი ადგილი დაიკავა ახალმა, რომელიც შედიან მთლად ისინი, ვინც გადაჭრით ებრძვიან თავ აწეულ ნაციონალიზმს და ქართულ სეპარატიზმს. „ჩვენ, კომუნისტურ პარტიის საქართველოს ცენტრალურ კომიტეტის ახალ ხელმძღვანელებს ამ მივიღეთ მეტათ რთული და მძიმე მემკვიდრეობა“, აცხადებენ ახლად არჩეულნი. „კომიტეტის წინანდელი მთავარ მდიანმა დაუშვა დიდი შეცდომა მით, რომ მან პარტიულ ორგანიზაციის, პერსონალის შეჩვენა და რეზოლიუციების ცხოვრებაში გატარება მინდო პარტიაში მტრული განზრახვით შემოპარულ პირებს. კოლხოზების უმრავლესობა არავითარ ყურადღებას არ აქცევდა თუთის ხის კულტურას. 1951 გაზაფხულზე დარგულ 928.000 ძირ ზისაგან გადაჩა 60.000, ე. ი. 64 პროცენტი. ასეთივე უყურადღებობას იჩენენ საბჭოთა ვაჭრობის მიმართ; და თუ სოფელსა და ქალაქს შორის ნაწარმოების გაცვლა შეჩერდა, ეს უმთავრესად აიხსნება საქარზნო ნა-

წარმოებების ცუდი ხარისხით, მექათამობა და სახელმწიფო ქონების და ფულის გაფლანგვა იღებს ფართო ხასიათს, რადგან ტრიბუნალები მთავრობისაგან მიღებულ ინსტრუქციებს არ ანხორციელებენ. ხშირად მეცნიერებს სამი ან ოთხი თანამდებობა უკავიათ, ამიტომ მათი მუშაობა წინ ვერ მიდის და ამის გამო ახალგაზრდებსაც წინ წაწევის საშუალება არ ეძლევათ.

თვით ქართველი მწერლებიც კი გაუბრბიან საბჭოთა სინამდვილეს, თავს აფარებენ წარსულს, ცდილობენ დაივიწყონ აწმყო და იდეალიზაცია უყონ წარსულს. ამ მხრივ განსაკუთრებულ დანაშაულს ჩადის მწერალი კოწია გამსახურდია. რამოდენიმე წლის წინეთ თვით ამხანაგ ბერიამ გამსახურდიას შემოქმედება დახასიათა, როგორც „მებრძოლ ნაციონალისტის, რომელიც დრო გამოშვებით ფაშისტური გადახრებს იღებს“. საქართველოს წარსულის იდეალიზაცია ახასიათებს ბურჟუაზიულ ნაციონალიზმს.

მთლიანად ეს მოვლენები მოასწავებენ, ასკენის „ზარია ვოსტოკა“, ქართულ ნაციონალიზმის გამოღვივებას. საბჭოთა ხელისუფლება არ დაუშვებს საქართველოს კუთხეებად ან „სამთავროებად“ დანაწილების არავითარი ცდას. საბჭოთა რეჟიმის იმ გააერთიანა და დაწესა სოციალისტური რესპუბლიკა, რომელიც განუყრელი წევრია ერთიან, ძმურ, მშლავრ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირისა, ვინც ამ მთლიანო-

დიდი მიღწევა

(UNESCO-ში გამართული ქართული საღამოს გამო)

ერთხელ, ზოოლოგიური ხალის დათვალიერების დროს, შევჩვიდი ერთ რკინის ხელარბების წინ, რომლის იქით სიხი მამიშინ ჩამობმულ თოქზე თამაშობდენ. ჩემი მეგობრის ყურადღებაც, რომელიც ჩემს გვერდით შუა ხნის კაცმა შეაჩერა და ელაპარაკებოდა, მამიშინებისკენ იყო მიპყრობილი; ჩემმა უცნობმა, შეამჩნია რომ ნას ჩემი მეგობარი არ უსმენდა, დამიხლოვდა მე და ლაპარაკის ინიციატივა რომ არ დაეკარგა შეცვითხა მისს, თუ იცნობ ამ ცხოველებსაო. სანამ ჩემი მეგობარი პასუხს ვასკებდა, მე უნებურად წაშონცდა სიტყვა: მამიშინი. ჩემმა უცნობმა შეატყო, რომ ჩემი მეგობარიც ამავე აზრის იყო, გახარებული რომ ისე ლაპარაკის საშვალება მიეცა, აგვიხსნა, რომ ამით უწოდება «Nasique» რომლებიც ცხოვრობენ ბორნეოში; მამიშინი კი არის საერთო სახელწოდება და მათ შორის კი არსებობს დიდი სხვაობა; ისე როგორც ჩვენ ყველა ადამიანები ვართ, მაგრამ ზოგი გერმანელი, ზოგი ფრანგი, ზოგი ინგლისელი... ამ დროს ჩემს უცნობს უნდოდა ჩემი ეროვნებაც ეხსენებია, მაგრამ ვინაიდან მან არ იცოდა, დახმარების კილოთი უთხარი: „ქართველი!..“ ის ისე იყო გართული ლაპარაკში, რომ მანაც გაიმეორა ჩემს მიერ მოხდენილ მსმენებში მიწოდებული სიტყვა; მაგრამ უცბათ ცნობისმოყვარეობით აივსო მისი გამომეტყველება და შემეკითხა რა არის ქართველი!.. მე დაიწყე ახსნა, რომ არსებობს ქართველი ერი, რომელიც უძველეს დროიდან ცხოვრობს კავკასიაში, რომ ქართველი... სანამდე მე ლაპარაკს დავამთავრებდი მან გაიკვირვა: „ააა, რუსი, რუსი!..“

მეორეჯერ, ინტერნაციონალურ კლუბში, დიდი ამბით ვაპარეს, რომ კიდევ ერთი ქართველი მოკვანეთო! ჩვენმა უცნობმა ჩვენი დანახვის თანავე სიხარულით დაიწყო ლაპარაკი „საქარ-

თველოზე“... მაგრამ როდესაც შეიტყო, რომ ჩვენ «Georgia»-დან (ა. შ. შ.) არ იყავით, შეგვეკითხა თქვენ რა ქართველები ხართ!.. ჩვენ დაგვეჩიქა მხოლოდ კავკასიის ხსენება და მან გაიკვირვა: „ააა, რუსი, რუსი!..“

მესამეჯერ ერთმა რუსმა, რომელსაც საქართველოს ხსენებაზე თვალები გაუბრწყინდა, აღნიშნა, რომ ის ქართველი ერის ისტორიასა და საქართველოს კარგად იცნობს, რომ თითონ თბილისში რამოდენიმეჯერ ყოფილა; რომ ქართველები კარგი ხალხიაო და სწორედ ამიტომ „დაართო ნება“ ეკატერინე მეორემ ქართველებს სრულფასოვანი რუსები იყენებო!..

ამგვარი მაგალითების ჩამოთვლა შეიძლება უსასრულობადღე. თვით პატარა ერებშიც კი, რომლებიც დაინტერესებულნი უნდა იყვნენ სხვა პატარა ერების ცხოვრებით, დაივიწყეს იერებისა და კოლხების ქვეყანა, რაც იმას მოწმობს, რომ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოსპობასთან ერთად, ქართველი ერის ისტორია და არსებობა გახდა მხოლოდ ვიწრო პოლიტიკური წრების საბჭო საგნად და შეცნიერების საარკვე საკითხად, რომლის საბოლოო ბედი უნდა იკვლავილის მტკვრიან ფურცლებში მთავრდება.

დღეს მდგომარეობა იცვლება; მსოფლიოს დემოკრატიული ერები ქადაგებენ პიროვნებისა და ხალხების თავისუფლების იდეას; რაც ჩვენ გვაძალეხს, მთელი ჩვენი ეროვნული შეგნებით წავრსდეთ კაცობრიობის წინაშე, ვავაცნოთ მათ ჩვენი ერის ისტორია, კულტურა და განვაცხადოთ, რომ ფრანგი, რუსი, ინგლისელი თუ გერმანელი ერის გვერდით, პატარა ქართველი ერიც ღირსია რთვორც თავისუფალი სახელმწიფო, შევიდეს თავისუფალი ერების მსოფლიო ოჯახში!..

ამ მიმართულებით მუშაობა მისასაღმებელია და ამიტომ დასაფასებელია იმ ორგანიზაციების თუ პირების მუშაობა, რომელმაც 1953 წ. 22 იანვარს, ქართული საღამო, „UNESCO“-ს (გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია) მფარველობის ქვეშ, სისრულეში მოიყვანეს.

საღამოს მიზანი, — დემოკრატიულ ერებისა-

ბის დარღვევას მოინდომებს, ის გამომჟღავნებული იქნება, როგორც დასავლეთ იმპერიულიზმის აგენტი“.

(„ენტრანსიუანი“-ს გადმოცემით, ეს წერილი შედგენილია ტფილისელ „ზარია ვოსტოკა“-ს, პარიზელ „ლა რეალიტე რუსს“-ე და მოსკოვის „პრავდის“ ცნობების მიხედვით).

თვის კიდევ ერთხელ მოგვეგონება საქართველოს საკითხი, ძირითადად იქნა განხორციელებული. ჩვენი საპატიო სტუმრები იყვნენ ფრანგები, ამერიკელები, ინგლისელები, ინდოელები და სხვები (თუ არა ვცდები 44 სხვადასხვა ქრების წარმომადგენლები), რომლებსაც სავალება ქონდათ კიდევ უფრო გააცნობოდით ქართველ ერსა და მის კულტურას.

**

სალამოს მხატვრული ნაწილის ხელმძღვანელებმა (ი. ჯაბადარი, ს. იანთელი და ლ. თვალის-შვილი) კოტათი თუ ბევრად შესძლეს მასუფრებლას დაკმაყოფილება. სალამოს მთლიან კოლორიტს ისე ეფერებოდა ჯინარასა და მ. კობახიძის მიერ შესრულებული „ქართული“ (თუ ლეკური!), როგორც რ. წყნეთლისა და ძმები კობახიძეების „სვანური“ და მთიულურში ცეცხები; რომლის შემდეგ ქალბის მასაჟიზმა ცეცხამ („დავლური“—მონაწილენი: ი. პაპუაშვილი, ჯინარას, თ. ჩხენკელი, ა. ზომიერაძე, ლ. ზონელიძე, თ. ტუჩკიძე, ს. ელიენი და ნათელა) ძლიერი მთაბეჭდილება მოახდინა. მოხდენილად შესრულებული „ლეკურის“ შემდეგ (დადგმა: შ. აბაშიძე; შემსრულებელნი: ნ. თაყაიშვილი და რ. ნასყიდაშვილი), ინიციატივა გადაიბარა ისევე ჯგუფურ ცეცხებზე, რომლიდანაც აღსანიშნავია „ქისტური“ (სოლო ს. იანთელი) და „თემური“, რომლითაც სალამო დასრულდა. მომღერალთა გუნდი ცდილობდა თავისი წვლილი შეეტანა სალამოს საერთო მიღწევაში, რაც მან (ნაწილობრივად) შესძლო!.. მხოლოდ უადგილო ან იქნებოდა თუ შევეცდებოდით ზოგიერთი ილემენტარული საკითხების გარკვევას.

**

ბალეტი („ქართული ბალეტი“) მოითხოვს მაღალ ტექნიკურს ოსტატობითა და რითმიკობით გამსჭვალულ, ზედმიწევნით გაწვრთნილ მოცეცხეების ჯგუფს, რომლებსაც განსაკუთრებული იმიტიური ნიჭი უნდა ჰქონდეთ. თვით ბალეტის სტილი კი, რომელიც მთლიანად შეიძლება სიმბოლოსაც ეყრდნობოდეს, მოითხოვს დახვეწილობას - სისუფთავეს; ამიტომ იყო რომ „ქართული ბალეტის“ შექმნა თვით საქართველოში (ოპერისა და ბალეტის თეატრში) რამოდენიმეჯერ მარცხით დამთავრდა, სანამდე ის თავის სახეს შექმნიდა — დახვეწავდა. „ქართული ბალეტური ცეცხების“ სცენაზე განხორციელება კი იძ-

ლევა მტე შემოქმედებით თავისუფლებას, რომლის დაძლიება არა-პროფესიონალური მოცეცხეების შესაძლებლობის სფეროში იმყოფება; ამიტომ ეს შეიძლება ვხა უფრო სწორია (ჩემი აზრით) იმ ქართული მოცეცხეების ჯგუფებისათვის რომლებიც საზღვარ-გარეთ იმყოფებიან. შემდეგ:

**

ცეცხა, თეატრის ეს პირველადი უჯრედი, მისი უმარტივესი და უძველესი ფორმა (თავისთავად ცხადია პირველ რიგში ხალხური ცეცხა) არის დრამატული ე. ი. იმიტირ. ცეცხის მიზნისა ფსიქოლოგიური განცდა, რომელიც ქმნის „იძულებას“ ადამიანის ფიზიოლოგიურ მონაცემებში მთლიან მიმიტირ-რეაქციული ფორმა. ქართული ცეცხებიც ემორჩილება ამ კანონს. „ლეკურის“ სხარტი, მაგრამ ამდენ დროს დარბაისლური მოძრაობები თუ მთიულური ცეცხების (სვანური, აფხაზური, თუშური და სხვ.) ვეფხისებური მოძრაობები არ განისაზღვრება მარტო ილემენტების ტექნიკური ცოდნით. ტაქტიკა კი არა არის მოცეცხეების საბოლოო მიზანი, არამედ საშუალება მიზნისაკენ ე. ი. შექმნას მიმიტირ გაიმოსახვა. მხოლოდ მაშინ ქმნის მოცეცხე (ეს მიმებისა და მსახიობების მამა) მხატვრულ გამოსახვას, როდესაც მასი რითმიკური მოძრაობები ნაკარნახება მისი (აზროვანი) ფსიქოლოგიური განცდებისაგან; რაც საწინდარია იმისა, რომ თავიდან იქნეს აცილებული ყოველგვარი „მშრალი“ მოძრაობები, რომელსაც (არა მარტო ამ სალამოს) ადვილი ჰქონდა. კიდევ:

**

მუსიკა უნდა ემსახურებოდეს ცეცხას. მისი ფუნქციაა მოცეცხეების მისცეს რითმი და დაეხმაროს „ხასიათის“ შექმნაში. მუსიკალური რითმის ერთ-ერთი გამაძლიერებელი ფაქტორია (ხალხურ ცეცხაში) „შეყვინება“ „შევიღება“ თუ „შედახლი“, რომელიც გამოწვეულია მოცეცხეების (თუ მასურებლის) „შეუკავებელი“ სულიერი განცდისაგან, რომელიც აფრიკის ნეგრების პრიმიტიულ ცეცხებში იმავე ხასიათს ატარებს, როგორც სხვა ერების, თვით გერმანული, ავსტრიული თუ შევიცარული „მთიულური“, ცეცხებში. ეს „შედახლი“ არა-ჩვეულებრივად ხელს უწყობს მუსიკის რითმსა და ცეცხის მოძრაობებს შორის გაქარწყლებული იქნეს უკანასკნელი „სხვაობა“, რომ შექმნას ერთი მთლიანი მიმიტირ-რითმიული მხატვრული გამოსახვა. რათქმა უნდა ზომიერება - კანონზომიერება ყო-



ველთვის უნდა იქნეს დაცული, რაც არავის არ მიაცემს საშუალებას, რომ ქართული ხალხური ცეკვები ისე იყოს „ცადაკეთებული-გაქვერობი-ლებული“, რომ მისი ცნობა თვით ქართველსაც გაუჭირდეს.

**

თუ მოცეკვეებს უჩრჩევთ ჩვენ „ქართული ხალხური ცეკვები“ სფეროში დარჩენას, მომღერალთა ფუნდს არა აქვს ის საფეხური მიღწეული, რომ მან თავისთავს „ქართული ხალხური მომღერალთა გუნდი“ უწოდოს. ვიმედოვნებთ ახლო მომავალში შესძლებენ ისინი ამ საპატიო დონეზე ასვლას.

**

„უკეთესი შეიძლებადა ყოფილიყო“ — ლაპარაკობდნენ გამოსავალში — „რომ...“ რათქმაუნდა შეიძლებადა, მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ იმ სიძნელებებს, რომლის წინაშე ამ საღამოს ავტორები და შემსრულებლები იდგნენ, ეს საღამო როგორც მიღწევა უნდა იქნას აღნიშნული, ვინაიდან მათ შესძლეს — კიდევ ჩვენს პირველ აზრს რომ დაუბრუნდეთ — ჩვენი საპატიო სტუმრები დიქრწმუნებით იმაში, რომ ქართველი რუსი არაარის და ეს („ამ მხელი ხანაში“) დიდი მიღწევაა!..

კ. კანი.

.....

ახალგაზრდობის ორგანიზაცია

ამა წლის 15 თებერვალს „სოსიეტე, სავანტის“ დარბაზში შესდგა ქართველ დემოკრატიულ ახალგაზრდობის დამფუძნებელი კრება. საინიციატივო ჯგუფის სახელით სხდომას მიესალმა ბ-ნი შ. ქურციკიძე, აღნიშნა ახალგაზრდობის გაერთიანების საჭიროება და უსურვა ნაყოფიერი მუშაობა.

კრების თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ბ-ნი ე. ასათიანი, მდივნად ბ-ნი შ. ქურციკიძე. დღის წეს-რიგის მთავარი მუხლები იყო საინიციატივო ჯგუფის მიერ შედგენილ წესდების განხილვა და გამგეობის არჩევნები.

მომენტის მოთხოვნილებებზე და ახალგაზრდობის მოვალეობაზე ვრცელი და საინტერესო მოხსენებით გამოვიდა გ. წყნეთელი. მან გადაუშალა აუდიტორიას ჩვენი ქვეყნის აუტანელი მდგომარეობა, ახალგაზრდობის უპერსპექტივო პირობები, საბჭოთა ტერორის მიერ შექმნილი ერის გადაგვარების და ფიზიკური განადგურების საფრთხე. თუ ჩვენი ქვეყნის ახალ თაობას

ისტორიულ წარსულში ოდესმე დაჰკისრვია ქვეყნის გადარჩენის მისია, ეს დღეს ეკუთვნის ჩვენ ახალგაზრდობას. ის ორგანიზაციულად, გაერთიანებული უნდა ჩადგეს ეროვნულ განმათავისუფლებელი ბრძოლის რიგებში და უფროს ორგანოებთან მჭიდრო თანამშრომლობით და მათი ხელმძღვანელობით, ახალგაზრდული ენერჯით შეეცადოს მტრის ბოქალების დამსხვრევას და ერის განთავისუფლებას. ეს მოვალეობა უფრო მწვედ აწევს თავისუფალ ქვეყნებში მყოფ ქართველ ახალგაზრდობას, რომელსაც ბრძოლის თავისუფალი საშუალებები უძლევა. მისგან არის დამოკიდებული თუ როგორც პირნათლად შეასრულებს იგი ამ მისიას. ამ მოსაზრებებიდან გამომდინარე, მომხსენებელი მიუთითებს კრებას მის სადღეისო დანიშნულებაზე და მოუწოდებს პარიზის ახალგაზრდობას გაერთიანდეს საქართველოს თავისუფალი სახელმწიფოს აღსადგენად. დაწყებიდანვე ეტყობოდა, რომ მომხსენებელი ჰაერში არ ლაპარაკობდა; მისი არგუმენტაცია და მოწოდება საერთო თანაგრძობას პოულობდა და აუდიტორიის ნება-სურვილს უბასუხებდა.

მომხსენების შემდეგ გამართულ ბაასში დადასტურდა ჩვენი ახალგაზრდობის სწრაფვა გაერთიანებისაკენ, ნაყოფიერი მუშაობის საწყის მოებლად.

კრებამ მუხლობრივ გაარჩია წარმოდგენილი წესდება და მცირედდენ შესწორებებს შემდეგ ერთხმად დაადასტურა, რის შემდეგ არჩეულ იქნა დროებითი გამგეობა შემდეგი შემადგენლობით: ბ.ბ. ჩ. ჟორდანიას, გ. წყნეთელი, შ. ქურციკიძე, კ. ინასარიძე, ე. ასათიანი და ს. დონდუა. არჩეული გამგეობა უკვე შეუდგა მუშაობას. ვუსურვოთ მას წარმატება ქართული საქმის სამსახურში. ვინმე.

კ ა ვ კ ა ს ი უ რ ი ს ა ლ ა მ ო

1952 წლის 16 ნოემბერს, პარიზში მოეწყო კავკასიური საღამო, პარიზის ქართველთა სათვისტომოს და მუხობელ ერითა — სომხეთის, აზერბაიჯანის და ჩრდილო კავკასიელთა წარმომადგენლების ხელმძღვანელობით. ემიგრაციის ისტორიაში ეს იყო პირველი საღამო კავკასიური შინაარსით. მისი მიზანი იყო კავკასიელების კულტურული დაახლოვება, ერთიერთი — გაცნობა, მეგობრობა და თანამშრომლობა. ცხადია, ეს ძველი აზრია. მისი მნიშვნელობა



კარგად ესმოდა კავკასიის ერთა ძველ, ისტორიულ ხელმძღვანელობას. კავკასიის მთლიანობა ჩვენი მეფეების მუდმივი საზრუნავი იყო და მათი პოლიტიკა აქეთკენ მიიმართებოდა.

სალამოს მოწყობას გვიკარნახებდა, ერთი მხრივ, თანამშრომლობის ისტორიულობა და მეორე მხრივ საზოგადოებრივი აზრის მომწიფება — კავკასიელთა დასახლოება მომენტის მოთხოვნილებას.

სალამო ვაიხსნა ხუთ საათზე; ბ-ნ თობჩიძის (ადერბაიჯანი) მოკლე, მოხდენილი სიტყვით. მან აღნიშნა სალამოს მიზანი, ხაზი გაუსვა მის მნიშვნელობას ერთა დასახლოების საქმეში და სთხოვა საზოგადოებას, სულგრძელად შეხედროდნენ ზოგიერთ ნაკლს, რომელიც სალამოს უცვლელად ექნებოდა.

პროგრამის პირველი ნაწილი დაიწყო სომხური ცეკვებით. მონაწილეობდნენ, „სომხური ილერჯი ჯგირის საზოგადოების“ წევრები, ქ-ნ ალისა გავეზიანის ხელმძღვანელობით. მის ცეკვებს ეტყობა დამდგმელის მხატვრული ნიჭი და გემოვნება, რაც დამსწრე საზოგადოებამ მხურვალე ტაშით დააჯილდოვა. შესრულებულ იქნა 7 სომხური ფოლკლორული ცეკვა, რომლის შემდეგ მეფარე გარეგინამ და მედირე ბენომ შეასრულეს რამდენიმე სომხური ჰიმნი.

მეთარე სეირანმა შეასრულა ადერბაიჯანის მუსიკის რამოდენიმე ნიმუში.

პროგრამის პირველი ნაწილი დასრულდა ქართული სიმღერებით, ბ-ნ თვალისშეილის ხელმძღვანელობით. უნდა ითქვას, ჩვენმა ახალგაზრდა ვუნდმა ეს პირველი გამოცდა წარმატებით დაიჭირა და ნასიამოვნები საზოგადოება ქართულ სიმღერებს აღტაცებით შეხვდა.

ამით დასრულდა პროგრამის პირველი ნაწილი. შესვენების დროს ამუშავდა ჩრდილო კავკასიელ ქალთა მიერ მოწყობილი ლოტარეია და მხარულმა საზოგადოებამ ბუფეტის ირგვლივ თავი მოიყარა. მეზობელ ერთა დასახლოებას ენსახურებოდა აგრეთვე ანაზღაურად გაშლილი მავიდები კავკასიური სინალისით და ურთი-ერთ პატივისცემით ამეტყველებული.

პროგრამის მეორე ნაწილი ვახსნა „ახალგაზრდა სომხების“ გუნდმა ბ-ნ ტოროსიანის ხელმძღვანელობით. გუნდის მიერ შესრულებულ იქნა ორი სომხური ფოლკლორული ცეკვა.

მეთარე ვარეგინამ თარზე მოხდენილად დაუკრა სომხური სიმღერა „კრუნჯ“ (წეროები). ეს სიმღერა ოდესღაც ჩვენებს სანშობლოდან გად-

მობეწილს შეუდგენია და წიგ უსაზღვრო სევდა - ნაღველი ჩაუქოვია

ახალგაზრდა ქალმა, გავეზიანმა, იმღერა „გურჯი ახჩიკ“ (ქართველი ქალი), მიძღვნილი ქართველი ქალისადმი.

საზოგადოება აღტაცებაში მოიყვანა ახალგაზრდა ჩეჩნის ქალის, ვენერა ჩეჩნისა გამოსვლამ. ის, ვაჟურად გამოწყობილი, ასრულებდა ერთენულ ცეკვას. მისი ასხლეტილი მოძრაობა, კლადი და მოქნილი, აძლევდა დამსწრეთ ჩეჩნის ქალის ნამდვილ სურათს, მის სიამაყეს, თავისუფლების სიყვარულს.

იმვე ვენერა ჩეჩნომ და გ. ჩხენკელმა დარბაზისრულად შეასრულეს ქართული ცეკვა.

პროგრამა დასმუშვენა მომღერალი კობალაძის მძღ ივრმა ბარიტონმა; მან სამაგალითოდ შეასრულა რამოდენიმე ქართული სიმღერა.

დამსწრეთა კმაყოფილება აღწევს უმაღლეს დონეს ახალგაზრდა ქართველ მოცეკვავეთა ჯგუფის გამოჩენით სცენაზე. შესრულებული იქნა ქისტური, ოსური, სვანური და მთიულური ცეკვები ახალგაზრდა: ელიკო და როსტომ წერეთლის და ძნებ კობახიძეების მიერ. თავისი მოხდენილი და უნაკლო მოძრაობით მათ საზოგადოებას უჩვენეს ქართული სიამაყის ნიშნები. აღტაცებულმა საზოგადოებამ მხურვალე და ხანგრძლივი ტაშით დააჯილდოვა ჩვენი ახალგაზრდა მოცეკვავენი.

ეს იყო პირველი ნაბიჯი და მოწყობი კომისიის თადარიგი აგებული იყო ვარაუდზე, სალამოსათვის დაკავებული დარბაზი, ნაანგარიშევი 800 კაციანთვის, იმდენად პატარა გამოდგა, რომ ფეხზე დასადგომი ადგილიც აღარ იყო, მაგრამ საღამო საერთო მხიარულებამი და კმაყოფილებაში ჩატარდა, რაც პროგრამის დამთავრების შემდეგაც არ შეწყვეტილა. დიდ დარბაზში გრი-ალბედა ევროპული ჯაზი, ხოლო ბუფეტის ირგვლივ კავკასიური სიმღერები, თარი, დაირა და აკორდენი ერთმანეთს ეცილებოდნენ. სიმღერამ, მუსიკამ და ცეკვამ და საერთოდ იმ ბუნებრივმა სოლიდარობამ რომელიც დარბაზში შეიქმნა, საზოგადოება მართლაც გაიტაცა.

მამა - პაპათაგან დანერგილი კავკასიელი ერების თანამშრომლობის ხეს საზოგადოებაში ღრმა ფესვები ჰქონია.

ჩვენი ვალია ამ ხეს მოუყაროთ და გავუფრთხილდეთ.

კავკასიური საღამოს იღება ეკუთვნის ბ-ნ ნ. ყურულაშვილს, რომელმაც საამისოდ დიდი წი-



ნასწარი მუშაობა ჩაატარა. სათვისტომოს გამ-
ვეობამ თავისი შემადგენლობიდან გამოჰყო კო-
მისია, რომელშიდაც შედიოდნენ: ქნიი ქ. და-
დიანი და ბ.ბ. თაანთაძე და ვ. ინწკირველი, სო-
მელთაც ბ. ნ. ყურულაშვილთან ერთად, დაევა-
ლათ მეზობელ ერთა წარმომადგენლებთან კონ-
ტაქტი სალამოს მოსაწყობათ. სალამომ თავისი
მიზანი გაამართლა. საქიროთ მისი გაგრძელება.

ფარსმანი.

*** ბ. ტრახოს წერილი**

ბ-ნ ტრახოს წერილი რედაქციისადმი, რომე-
ლიც ეხება მის ვასვლას „გაერთიანებული კავ-
კასიის“ (მაგომა - კანტემირი) ჯგუფიდან და ნა-
თელს ჰყოფს დაშლა - რღვევის პროცეს! ხალხ-
თა შორის განხეთქილების მებაირახტრე ორგა-
ნიზაცია რომ დღეს განიცდის. ავტორის მნიშვ-
ნილოვანი პიროვნება ამჟამა ხდება მკითხველი-
სათვის მის დეკლარაციის ტექსტში. დავუშმა-
ტებთ მხოლოდ, რომ ის იყო ამდევ დროს გაზეთ
„გაერთიანებული კავკასიის“ ინვლისური გამო-
ცემის რედაქტორი. მოგეყავს მისი წერილი უც-
ვლელად:

ბ-ნო რედაქტორო!

გთხოვთ გამოაქვეყნოთ თქვენს პატივცემულ
ჟურნალში ეს ჩემი წერილი, გადაცემული ჩემს
მიერ ჩრდილო-კავკასიის ეროვნული კომიტე-
ტის თავმჯდომარეზე ე. წ. „კავკასიის კონფე-
რენციის“ (11 - 16 დეკემბერი) შემდეგ მოწვე-
ულ სანდომისათვის, რომელზედაც მეც უნდა გა-
ესწრებოდი. წერილის ასლი გადაგზავნილია აგ-
რეთვე სტამბოლის ცენტრისადმი.

შიენენი. 19 - 12 - 1952 წ.

ჩრდილო კავკასიის ეროვნული კომიტეტის
თავმჯდომარეს!

დღეიდან ეიხანი თავიდან ჩრდილო კავკასიის
კომიტეტის გენერალური მდივნის და ლტოლვი-
ლთა განყოფილების მმართველის თანამდებობას
და გამოვდივარ კომიტეტის შემადგენლობიდან,
ჩიის გამოც, სამწუხაროთ, არ შემიძლია თქვენს
სანდომას დავესწრო.

მიიღეთ ჩწმუნება და სხ.

ეს ჩემი წერილი დღემდე არ იქნა გამოქვეყ-
ნებული ჟურნალ „გაერთიანებული კავკასიის“
მიერ იმ იმედით, რომ ჩემთან მოლაპარაკებით
შესაძლო იყო შეთანხმების გზების გამოჩნება,

ჩემი კომიტეტში დარჩენა და ამით მოსალოდ-
ნელი სამარცხენიო სკანდალის თავიდან აცილე-
ბა. მაგრამ ეს არ მოხერხდა და ზემო აღნიშნუ-
ლი ჟურნალი თავის იანვარ - თებერვლის ნომე-
რში აცხადებს — „ჩვენ გვატყობინებენ, რომ ბ.
რანსხან ტრახო ამიერიდან აღარ ასრულებს
ჩრდილო კავკასიის ეროვნული კომიტეტის მდი-
ნერალური მდივნის თანამდებობას. ის განთავი-
სუფლესულია აგრეთვე „გაერთიანებული კავკა-
სიის“ რედაქციის მუშაობიდან.

დასასრულ უნდა აღინიშნოს, რომ 1951 წლის
16 სექტემბერს არჩეულ 16 წევრისაგან კომიტე-
ტში დარჩა მხოლოდ ხუთი და, ამრიგად, მან და-
ამთავრა თავისი არსებობა, როგორც პოლიტი-
კურმა ორგანომ. ამ კომიტეტიდან ჩემი ვასვლის
მიზეზებზე და მის დაშლაზე ცალკე გვექნება
საუბარი.

რ. ტრახო.

ჩვენ ვიცით, რომ ბუნება სიცალიერეს არ ით-
მენს, მაგრამ ის არც მანვე ხორცმეტს ასაზრდო-
ებს დიდი ხნით. ამის მაგალითია ამ მართლაც
კავკასიის ხალხების დაშლის კომიტეტის ლიკვი-
დაცია.

წერილები რედაქციის მიმართ

I

ბატონო რედაქტორო!


გთხოვთ მომცეთ საშუალება საზოგადოებას
ვამცნო შემდეგი:

ქართველ საზოგადოების საყურადღებოთ

ჩვენმა საზოგადოებამ იცის, რომ თყუპაციის
მიწურულში და „ლიბერაციის“ დასაწყისში და-
არსებული იყო „ქართული ეროვნული კომიტე-
ტი საფრანგეთში“.

ამ კომიტეტის დაარსების ინიციატორები იყ-
ვნენ: ვახტანგ ლამბაშიძე, სპირდონ კელია, აპა-
ლონ კობახიძე და იოს. გობერი.

იმ გარდამავალ და მძიმე ხანაში, როცა ყო-
ველგვარი საზოგადოებრივი მუშაობა შეწყვეტი-
ლი იყო, კომიტეტი ფიქრობდა ჯერ არა ოფი-
ციალურად და არალეგალურად და შემდეგ
ოფიციალურად დამტკიცებულ წესების ნიადაგ-
ზე, დახმარება გაეწია ქართულ პოლიტიკურ
ემიგრაციისათვის და საზოგადოთ ხელი შეეწყო



საქართველოს პრობლემის გაშუქებისათვის უცხოეთში.

ამ მიზნის მიღწევას კომიტეტი ფიქრობდა, რასაკვირველია, თვით საზოგადოების შემოკრებითა და მისი ამოქმედებით.

მსგავს, საზოგადოებრივი პირობები შეიცვალა და კომიტეტის მოქმედება არ დაფართოვებულა; ჩვენ ვიწრო წრეში კომიტეტი მაინც განაგრძობდა მუშაობას, განსუენებულ ვახტანგ ლამბაშიძის თავმჯდომარეობით. ვახ. ლამბაშიძის გარდაცვალება უდიდესი დანაკლისი იყო ჩვენი კომიტეტისათვის.

საჭირო იყო კომიტეტის გადახლისება და ამის მიხედვით პრეფექტურაში შესაფერი მანკრხადების შეტანა: კომიტეტის პასუხისმგებელ პირებათ დასახელებული იყვნენ: თავმჯდომარეთ იოს. გობეჩია, მისი ამხანაგათ ბ-ნი დავით მაჭავარიანი, ბ. აპ. კობახიძე—მოლარეთ, ბ. ნ. გულაშვილი—მდივანთ და ბ. გიორგი კალხნდარი.

აპ. კობახიძის გარდაცვალებით, მას შემდეგ, რაც კომიტეტმა დაკარგა ვახ. ლამბაშიძე, კომიტეტის მოქმედება ძალიან შესუსტდა.

ეს გარემოება მოქმედებდა მორალურათ დაწარჩენ წევრებზედაც; ჯერ ბ. გ. კალანდარიანი და შემდეგ ბ. დ. მაჭავარიანი შემოიტანეს განცხადება, რომ კომიტეტს თავს ანებებენ; კომიტეტის ზუთი პასუხისმგებელ პირის შემადგენლობიდან დავრჩით ორი: ბ. ნ. გულაშვილი და მე, იოს. გობეჩია.

კომიტეტის მუშაობის გაგრძელება, როგორც ფაქტიურად, ისე იურიდიულათ, შეუძლებელი შეიქნა.

ამ პირობებში და ყოველივე გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, როცა კომიტეტს მიმდევრები არ დაურჩა, მე როგორც თავმჯდომარემ, ჩემ მორალურ-პოლიტიკურ მოვალეობათ ჩავთვალე, შექმნილ მდგომარეობას ბოლო მოღებოდა.

ამიტომ კომიტეტის მოქმედება ფაქტიურად შეწყვეტილი იქნა.

სამწუხაროდ ზოგიერთი პირები, რომელნიც იურიდიულათ არავითარ პასუხისმგებლობას არ ატარებენ, შეიკრიბენ, მე გადაყენებულათ გამომაცხადეს და თავის თავი თანამდებობის პირებათ აირჩიეს (ქრებას დაესწრო სული ოთხი კაცი და აირჩიეს სამი: თავმჯდომარე, მდივანი და ხაზინადარი, „საზოგადოებას“ დაჩრჩა მხოლოდ ერთი

თი წევრი, რომელსაც თანამდებობა არ შეხვდა). ეს არ იკმაჩრეს და ჩვენი შინაური საქმე ცალმხრივათ და გადასახინჯებულათ პრეფექტურას აცნობეს.

როგორც საზოგადო საქმეში მოხუცებულს ასეთი საქციელი მე დასაგმომსათ მიმაჩნია.

ესლთ იტლებული ვარ საქმე, რომლისათვის პრეფექტურის შეწუხება სრულებით საჭირო არ იყო, ჩემს მხრივათაც პრეფექტურას გაცანო, თანახმათ მისი მოთხოვნისა.

ზემოთ აღნიშნული გარემოება საჭიროთ მიმაჩნია საზოგადოებაში იცოდეს.

იოს* გობეჩია.

P. S.: ვთხოვ სხვა ქართულ ჟურნალ-გაზეთებს ეს ჩემი განცხადება გადასუქდოს. ი. გ.

II

ქართული ეროვნული საბჭოს ყრილობის მეორე სესიის ანგარიშიში მოყვანილი ჩემი სიტყვის ერთი დღეილი მთლათ სისწორით არაა გადმოცემული, რაც მას სიძლიერეს უკარგავს. უნდა იყოს: „ბატონებო, წარმოვიდგინოთ, რომ ჩვენი ეროვნული მთავრობა შეჩივებოდა ბოლშევიკური რუსეთის ოკუპაციას; ამ შემთხვევაში აქ, ემიგრაციაში, გონდ რიცხვით ორჯერ მეტიც ვყოფილიყავით, რა ფასი ექნებოდა ჩვენს წუწუნს, საქმიანობას და პროტესტებს. მსგავს რადგან მთავრობა არ შეურიგდა, დასტოვა საქართველო და განსაქრძო ბრძოლა, ჩვენს ბრძოლას სულ სხვა ხასიათი მიეცა უფლებრივად, რაც მნიშვნელობითი ფაქტორია, მყარ ნიადაგზე დადგა“...

პატივისცემით საბჭოს წევრი
დ. საღირაშვილი.

ჟურნალ „მებრძოლი საქართველო“ს რედაქცია
მოთაცემბულია:

9, Rue JOBBE DUVAL. — Paris 15.
Tél.: VAU. 25-14

წერილები და მასალები უნდა გამოიგზავნოს აღნიშნული მისამართით.